*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: პაშა გულორდავა

**წევრები:**

ვერა ყურულაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
მანანა ცუცქირიძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ბესიკი ბერიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
გვანცა მოლაშვილი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ინგა ხრიკაძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნანა ჩავლეშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნატო კვეტენაძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნანი სალია -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
მარინა ანესაშვილი -სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნათია ბრეგაძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-\-

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 230078304 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ზესტაფონი სოფელი დილიკაური |
| იურიდიული მისამართი | ზესტაფონი სოფელი დილიკაური |
| ფაქტობრივი მისამართი | ზესტაფონი სოფელი დილიკაური |
| საფოსტო ინდექსი | 20000 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | არ აქვს |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | dilikauri@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 595216931 (ხელმძღვანელის ნომერი) |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 7 23 0000810044 (03/07/2023) |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

| | |
|---|---|
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 26-27 ივლისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ა) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | დაწყებითი | ქართული | ზესატაფონი სოფელი დილიკაური |
| 2 | ბ) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საბაზო | ქართული | ზესატაფონი სოფელი დილიკაური |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | გ) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საშუალო | ქართული | ზესტაფონი სოფელი დილიკაური |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის ეროვნული მიზნების მოთხოვნებიდან. სკოლის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნეს, რაზეც მიუთითეს საგნობრივმა ექსპერტებმა . სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს სრული მზაობა 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულონ საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობა რჩევების გათვალისწინებით, მოხდეს სასკოლო კურიკულუმის და ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი ექსპერტები სრულად იყვნენ ჩართული საგნობრივი კურიკულუმის შეფასების პროცესში როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის პროცესში, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-------------------------

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: -----300--------- | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**
2. **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**
3. **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ" შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა".*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი* | | |
| *ინდიკატორი 3.4.1.1.* | | სკოლას მიეცა რეკომენდაცია გააკეთოს: ა)დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; ბ)საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; გ) შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნა შესაბამისობის გეგმით გაწერილი ვადის გათვალისწინებით ( ა) 17/07/2024წ; ბ) 20/03/2024წ; გ) 30/10.2023წ).<br>ასევე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია: ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანის შესაბამისობის გეგმით გაწერილი ვადის გათვალისწინებით (30/04/2024წ). |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი ....* | | |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 3.1.2.2 3.3.1.3* | | სასურველია, სკოლას ჰქონდეს ცალკე დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერის წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებს. კერძოდ, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | დაკისრებასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორის უარი დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ან დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ სად შეიძლება გასაჩივრდეს და ა. შ. |
| *ინდიკატორი 3.4.1.* | | *სასურველია სკოლაში უსაფრთხოების სპეციალისტი იყოს დასაქმებული* |
| | | |
| ***სტანდარტი 4*** | მოსწავლეთა მხარდაჭერა | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი 2*** | სასკოლო კურიკულუმი | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი - 2.3.2.1*<br>**2.3.2.2.**<br>**2.3.2.3** | *სახელმწიფო ენის კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე* | ......იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის შეფასება სრულფასოვნად ატარებდეს ჰოლისტურ ხასიათს, სასურველია სკოლამ დანერგოს მოსწავლისა და მასწავლებლის პორთფოლიოს წარმოების პრაქტიკა.<br>. |
| *ინდიკატორი - 2.3.1.* | *სახელმწიფო ენის კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე* | სკოლაში სწავლა–სწავლების სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, 2023–2024 სასწავლო წლის |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | დაწყებამდე გადაამუშაოს და სრულყოს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებ მექანიზმები. |
| | | |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ინდიკატორზე *3.4.1.1.* სკოლამ გაიზიარა და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა მიერ სრულად იქნა გაზიარებული სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციები. შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1.1 გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. რაც შეეხება ინდიკატორებს 3.6.3.1 3.6.3.4 და 3.6.3.5 სკოლამ გაიზიარა და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერა ინდიკატორზე მუშაობის დასრულების თარიღად 30 ოქტომბერი, თუმცა, დასკვნის მომზადებისას, ექსპერტები შევიდნენ სკოლის ვებ გვერდზე და აღმოჩნდა, რომ ეს ინდიკატორები დაკმაყოფილებულია და შესაბამისად, გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია
### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას აქვს მისია, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ასევე აქვთ ჩამოყალიბებული ხედვა, რომელიც წარმოადგენს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილს. მისია იკითხება პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში, საიდანაც ჩანს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობა. მისიით, განსაზღვრულია მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, ურთიერთთანამშრომლობის, პროფესიული ზრდისა და ინოვაციური სასწავლო გარემოს შექმნის გზით. მისია ხელს შეუწყობს მოზარდებში უფლებების და მოვალეობების გააზრებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, წიგნიერების დონის ამაღლებას, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვას. ხედვაში სკოლას განსაზღვრული აქვს რას უნდა მიაღწიოს 7 წლის შემდეგ. კონკრეტულად, სკოლის კურსდამთავრებულთა 70% იყოს საზოგადოებრივ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოთხოვნადი კადრი არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო სივრცეშიც. ამ ხნის განმავლობაში სკოლა იზრუნებს იმაზე, რომ ჩამოყალებდეს მყარ, ინოვაციურ და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ ცოდნის კერად, ასევე იზრუნებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული

2. წარმოდგენილი მისიითა და ხედვით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. მისიაში გამოკვეთილია მოსწავლის მხარდამჭერი და პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სკოლა არის ურთიერთობის სივრცე, სადაც მნიშვნელოვანია თანამშრომლობისა და კომუნიკაციის წახალისება.
ასევე, ყურადღება ექცევა სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკურ უსაფრთხოებასა და დისციპლინის დაცვას. სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფენ მანდატურები, დარაჯები, მრჩეველთა საბჭო, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში მოქმედებს დისციპლინის მარეგულირებელი შინაგანაწესი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასათვის (გამოკრულია საინფორმაციო დაფაზეც). ინდიკატორი არ არის დარღვეული

3. სკოლის მისიის შემუშავებაში ჩართული იყო პედაგოგიური კოლექტივი, კერძოდ, საგნობრივმა კათედრებმა ერთ-ერთ სხდომაზე განიხილეს სასკოლო მისიის, ხედვის და ღირებულების შექმნის/შემუსავების საკითხი. შემდგომში, სკოლის

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მოხდა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) განხილვა-დამტკიცება. თუმცა, სასკოლო საზოგადოების სხვა ნაწილის ჩართულობა არ დასტურდება. სკოლის ფილოსოფია, ასევე, განხილული იყო სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, რაც გულისხმობს მშობელთა მცირე ნაწილის ჩართულობას სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4. სკოლის ამჟამად მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ადმინსტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ მოხდება მასზე განთავსება. ასევე სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები) წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის ნაწილს და გაზიარება მოხდება ასევე სტრატეგიული გეგმის გაზიარების დროს. სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ნაწილის, კერძოდ, სკოლის თანამშრომლების მიერ. ინდიკატორი არ არის დარღვეული

5. სკოლის ამჟამად მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ მოხდება მასზე განთავსება. ასევე სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები) წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის ნაწილს და გაზიარება მოხდება ასევე სტრატეგიული გეგმის გაზიარების დროს. ინდიკატორი არ არის დარღვეული

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, სკოლის სახელწოდება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლა, შეესაბამისობაშია მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინთან. ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის მისია;

2.სტრატეგიული განვითარების გეგმა;

3.პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი ;

4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

5.საინფორმაციო დაფა

6. დაწყებითი საგნების მასწავლებლების კათედრის სხდომის ოქმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლებიც განსაზღვრავს მიზნების პრიორიტეტულობის დადგენას, განსახორციელებელი ამოცანების, აქტივობების დადგენის და განხორციელების მექანიზმებს და რომლებიც შემუშავდა სკოლის დირექციის, პედსაბჭოს, კათედრებისა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. მასში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი, პრიორიტეტები და საჭიროებანი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

2 სკოლას აქვს სკოლის სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 15 თებერვალს, არის შვიდწლიანი და ეფუძნება შემუშავებულ მისიას, მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. მასში არის აღწერილი, რა უნდა შეძლოს სკოლამ შვიდი წლის განმავლობაში. სტრატეგიულ გეგმაში მოცემული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია იძლევა გეგმის ციკლურობის განსაზღვრას, გეგმაში ასევე არის მოცემული სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები, ასევე გეგმის შესრულების კალენდარი. სკოლის დირექტორმა, ინტერვიუს დროს, აღნიშნა, რომ სკოლა 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობას აგრძელებს, წარადგინა გეგმაში შეტანილი ცვლილებების პროექტი და გამოხატა მზაობა ცვლილებების სკოლის საზოგადოებასთან განხილვის, შემდგომ დამტკიცების და გაზიარების. ინდიკატორი არ არის დარღვეული

3 სკოლის სამოქმედოო გეგმა ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელ ამოცანებს, შედგენილია სკოლის თვითშეფასების და SWOT- ანალიზის საფუძველზე. იგი ეფუძნება 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც შემუშავებული იყო 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან, პედსაბჭოსთან, კათედრებთან და სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებით. გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში შესული ცვლილებები. სკოლის სამოქმედო გეგმა, სკოლას სტრატეგიული გეგმის ცვლილებების პროექტში აქვს გაწერილი და მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმა ცალკე დოკუმენტად გამოეყო, რისი მზაობაც სკოლამ გამოხატა. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ მიმართულებებს როგორიცაა: სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება; სკოლის ორგანიზაციული განვითარება; სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება; სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება; ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია; სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა; სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება დ სხვა. გეგმა საკმაოდ დეტალურადაა გაწერილი, გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნებიდან და ასევე არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მატერიალური რესურსების შევსება განსაზღვრულია განათლების სამინისტროს უშუალო ჩართულობით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები)

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

2.სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

3.სამეურვეო საბჭოს ოქმი #3;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლას აქვს გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის სტრატეგიულ გეგმაში ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან ერთად და სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგიაშიც.
მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის დირექცია. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან და გადაამოწმებენ შესრულების ინდიკატორებს სისტემატურად. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი დააკვირდება საგაკვეთილო პროცესს, კათედრებისა და დამრიგებლების მუშაობას; გაეცნობა პედაგოგთა რეფლექსიებს, თვითშეფასებას, რასაც გაითვალისწინებს მომავალი წლის გეგმის შედგენისას. დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ შესამუშავებელია კითხვარები, შეტანილ იქნება ცვლილებები მონიტორინგისა და შეფასება-თვითშეფასების კუთხით, რაც დაეხმარება სკოლას ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ გამოკვეთაში, შედეგების უკეთ გაანალიზებაში. ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნება ერთწლიანი გეგმის მიზნებში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2. სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება, როგორც მოცემულია 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაში, მოხდება სამჯერ-2 შუალედური და შემაჯამებელი შეფასება. შეფასებას განახორციელებს სამეურვეო საბჭო, შუალედური მონიტორინგი ცატარდება სტრატეგიული გეგმის განხორციელების დაწყებიდან მე-2 და მე-4 სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო შემაჯამებელი შეფასება ვადის გასვლისას. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმილია მონიტორინგისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

შეფასებაში მონაწილეთა წრის გაფართოვება. ასევე დაგეგმილია პროექტების თემების შერჩევაში მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა, შესაძლოა ფოკუს-ჯგუფის გამოყენება. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3. დირექტორთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ განვითარების და სამოქმედო გეგმების გასაჯაროვებასთან დაკავშირებულ რიგ საკითხების შესრულებაზე მიმდინარეობს მსჯელობა და სამომავლოდ სკოლა გეგმავს აღნიშნული პროცესების გაწერას. პროექტის შემუშავებაში, განხილვასა და დახვეწაში ჩართული იყვნენ პედაგოგები. რაც შეეხება ერთწლიან სასწავლო გეგმას - მისი განხორციელების შედეგებს გაეცნო სასკოლო საზოგადოება. იგეგმება ონლაინსივრცეშიც შედეგების განთავსება. ასევე, სკოლის ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ, დაგეგმილია სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ვებ-გვერდზე განთავსება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4. სკოლის დირექტორთან და თანამშრომლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ საბოლოოდ სამოქმედო გეგმასთან დაკავშრებულ პროცესებს აჯამებს დირექცია და საზღვრავს კონკრეტული საკითხების შესრულების ხარისხს. ყოველივე ამის გათვალისწინებისა და სკოლის შემდგომი განვითარების მიზნით, მოხდება აღნიშნულის ასახვა მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

2.სტრატეგიული განვითარების გეგმა;

3.საინფორმაციო დაფის ამსახველი ვიზუალური მასალა;

4.სკოლის SWOT ანალიზი..

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას აქვს რიგი დოკუმენტებისა, სადაც არსებული სტრუქტურული ერთეულების/ პირების სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია განსაზღვრული. სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმოდგენილია 7 წლიან სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში, სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმისა და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტებში.

სკოლის სტრუქტურა მოიცავს: დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი); ადმინისტრაციას (მატერიალური ტექნიკური უზრუნვეყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი); არასაშტატოს (დამლაგებელი, დარაჯი, ცეცხლფარეში); სამეურვეო საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს, ხარისხის განვითარების პროფესიული მხარდაჭეღის ჯგუფს, არასაშტატო ერთეულს (დამლაგებელი, დარაჯი, ცეცხლფარეში, საჭიროებისამებრ ხელშეკრულებით); მოსწავლეთა თვითმმართველობას; პედაგოგიურ საბჭოს (სპეცმასწავლებელს), საგნობრივ კათედრებს.

სკოლაში არის ექვსი საგნობრივი კათედრა:

- სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის, არჩევითი საგანი XIX–XX საუკუნის დასავლური ლიტერტურის მასწავლებლები;
- საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ბიოლოგიის, ბუნებისმეტყველების, ქიმიის, ფიზიკის და ჭდრაკის, არჩევითი საგნის სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა მასწავლებლები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, საქართველოს და მსოფლიო ისტორიის, მოქალაქეობის, საქართველოს და მსოფლიო გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებლები.
- უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის - რუსულის მასწავლებლები;
- ესთეტიკური აღზრდის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის და ფიზიკური აღზრდა და სპორტის მასწავლებლები;
- დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების და ჭადრაკის მასწავლებლები.

სკოლას ჰყავს მანდატურის სამსახური( სკოლამ დაასაქმა 1 დამლაგებელი, სოციალურად დაუცველი ოჯახების დასაქმების პროგრამის ფარგლებში).
სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია, როგორც ზემოთაღნიშნულ დოკუმენტებში (მაგ: დირექტორის მოადგილის ფუნქციებში ჩადებულია პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები, მონიტორინგი, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების გაუმჯობესებას), ასევე ცალკე დოკუმენტის სახით. მაგ: პედაგოგიური საბჭოს დებულება; სამეურვეო საბჭოს დებულება; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში (გაწერილია ფუნქციები დირექტორის, დირექტორის მოადგილის, კათედრების,ისგ.ჯგუფის, სამეურვეო საბჭოს, ბიბლიოთეკარის, პედაგოგიური საბჭოს ); დისციპლინური საბჭოს დებულება; მრჩეველთა საბჭოს დებულება, სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება, თვითმმართველობის დებულება, საქმისწარმოების დებულება.
მაგალითად: პედაგოგიური საბჭოს დებულებაში გაწერილია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, საბჭო დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს (2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ეს დაცულია) ; საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას. ზოგადი დებულებები პედაგოგიური საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, შინაგანაწესისა და ამ დებულების შესაბამისად.
სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესში გაწერილია ლაბორატორიების ხელმძღვანელების ფუნქციები. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებზეც გაწერილია, თუ რა ფუნქცია/მოვალეობები აქვს თითოეულ მათგანს. სკოლის სტრუქტურული ჩარჩო გამოკრულია სკოლის სივრცეში.ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა პირებზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც ფუნქციებთი და პასუხისმგებლობებია გაწერილი. ბრძანებით შექმნილია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი- ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

ფუნქციონირებაც დასტურდება გაკვეთილებზე დასწრების ოქმებით, ანალიზებით, შეფასებებითა და სხვა საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის განსავითარებლად ჩატარებული ღონისძიებების მტკიცებულებებით (ინტერვიუები, გამოკითხვები, სოცქსელების მასალა). სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია სტრუქტურულ ერთეულებს /პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას (მაგ: პედაგოგიური საბჭოს, კათედრების, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექტორის, ფინანსისტის ფუნქცია/მოვალეობები).. თითოეული სტრუქტურის მუშაობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მაგალითად კათედრების და დამრიგებლის ანგარიშებით, ასევე, პედაგოგიურ საბჭოზე დირექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშით დასტურდება, რომ სკოლა სკოლის სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გეგმით. სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულ მიზნებსა და ამოცანებს. მასში გაწერილია სკოლის დამრიგებლის ფუნქცია და პასუხისმგებლობა, რომელიც მიმართულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მაგ: დამრიგებელი იკვლევს კლასის საჭიროებს, გეგმავს აქტივობას, აწვდის საჭირო ინფორმაციას, აცნობს სხვადასხვა დოკუმენტაციებს მოსწავლეებს და მშობლებს, ახორციელებს კომუნიკაციას მშობლებთან, აწესრიგებს მოსწავლეთა დოკუმენტაციას და სხვა. მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმში გაწერილი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ადასტურებს მოსწავლეების მხრიდან პასუხისმგებლობის აღებას და გაცნობიერებას.
შინაგანაწესი შემუშავებულია დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (დამტკიცებული გამოკრულია კედელზე). მასში გაწერილია პროცესები და მათზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, რომლებიც ხელს უწყობენ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი. მათ სამუშაო ფუნქციებში აღწერილია შეფასების ობიექტური სისტემისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ჩატარებული გაკვეთილების რუბრიკები. 1.შეფასების სქემა; 2.უკუკავშირი; 3.სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, ერთწლიან სამოქმედო გეგმის ცხრილში ამოცანების შესრულბაზე განაწილებული პირები. ხარისხის განვითარების ოქმში გაწერილი მე-8 კლასში ჩატარებული გაკვეთილის გეგმით (თემა:“კინეტიკური და პოტენციური ენერგია“) , გაკვეთილის შეფასების სქემით დასტურდება , რომ ხარისხის ჯგუფი მუშაობს გეგმით და აქვთ კიდევაც გაკვეთილების შეფასების ოქმები .(ადგილზე გასაუბრებით და შემოწმებითაც აღმოჩნდა ეს ოქმები)
ფუნქციების განაწილება და სტრუქტურული ერთეულებზე განაწილებული პასუხისმგებლობები თანხვედრაშია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმასთან და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტთან. სტრუქტურა თანხვედრაშია სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1
2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა,;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანება N1/კ-21;
თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
თვითმმართველობის დებულება;
საქმისწარმოებლის დებულება;
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ ბრძანება N 1/კ-14
მრჩეველთა საბჭოს შექმნის და საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებს ბრძანება N1/კ-73 (24/10/2022)
კათედრის, დამრიგებლის და დირექტორის ანგარიში;
მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N3(2/06/2023)
.ბრძანება(1/კ-15 -21/-4/2023) თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ.

2.
კათედრის, დამრიგებლის და დირექტორის ანგარიში;
მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N3(2/06/2023)
ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი N1
სკოლის დირექტორის ბრძანება (1/კ-15 -21/-4/2023) თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციებზე;
ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება
გაკვეთილებზე დასწრების ოქმები;
კათედრების და დამრიგებლის ანგარიშები (2021-2022წლის);
დირექტორის ანგარიში;
შინაგანაწესი;
სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება-ბრძანება N1/კ-21
მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N3
ხარისხის განვითარების ოქმი N1

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 პერსონალის მართვისას სკოლა ხელმძღვანელობს სპეციალურად შემუშავებული ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტით. სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმი არის მოქნილი, მიმართულია თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვაზე, რომ მაქსიმალურად მოხდეს სკოლის მიზნების მიღწევა სამოქმედო გეგმის შედგენის, განხორციელების, მონიტორინგის, ანალიზის და შეფასების გზით. ამის მაგალითია სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექნიზმის დამტკიცების შესახებ ბრძანება, სადაც იკითხება, რომ ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით, რისი მტკიცებულებაც არის კონკურსი და ასევე, სკოლის დოკუმენტი „პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა“, რომელიც ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
სკოლა, კანონმდებლობის საფუძველზე, ახდენს რესურსების თითოეული მიმართულების მართვას: პედაგოგთა კონკურსის გზით მიღება, დასაქმებულის ადაპტაციაში ხელშეწყობა, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ. სკოლას აქვს მზაობა, წახალისების ფორმების გააქტიურების/დახვეწის და ინტენსიურად ამოქმედების, რაც გამოიხატა ინტერვიუების პროცესში.
სკოლის პერსონალის მართვის განმსაზღვრელი დოკუმენტი ხორციელდება კანონმდებლობის და დაწესებულების მიერ პირობების შესაბამისად, შინაგანაწესში გაწერილი თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების, დასვენების, წახალისების შვებულების, პასუხისმგებლობის, საშვებულებოს ხანგრძლივობა, შრომის დაცვის პირობები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სხვა პირობებით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

2 პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა ცალკე დოკუმენტად არ იძებნება, მაგრამ ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში, რომელშიც პერსონალის მართვის ძირითად მიმართულებებზე საუბარი. ასევე გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებების ტექსტში. დასაქმებულის მიერ დისციპლინურ გადაცდომას და პასუხისმგებლობის სახეებზე საკმაოდ დაწვრილებითაა საუბარი შინაგანაწესში, ასევე, დასაქმებულის წახალისების სახეებსა და გამოყენების წესზე, დისციპლინურ დევნაზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3. .სკოლა პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. აქვს შემუშავებული „პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურისა“ და “პედაგოგის, თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესი“. კერძოდ, პედაგოგებს იღებს შიდა და ღია კონკურსის გზით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკურსის გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. თანამშრომელთა (გარდა პედაგოგისა) მიღება ხდება სკოლის ვაკანსიით დაინტერესებული პირის მიერ სკოლაში განცხადების წარდგენით და სკოლის დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე. სკოლას აქვს თანამშრომელთა, მომსახურეთა დანიშვნის აქტები, სადაც ჩანს პერსონალის შერჩევის მექანიზმები, მათი კვალიფიკაციის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პოზიციის შესახებ, კადრების მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურობას და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას(კონკურსები). თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონის შესაბამისი დოკუმენტაცია: პედაგოგებთან - პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობა, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი; ნასამართლეობის ცნობა. ექსპერტთა სკოლაში ყოფნის დროს დაიწყო სკოლის პერსონალის დარეგისტრირების პროცესი უფლებების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობების ასაღებად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4. სკოლაში დასაქმებულია 35 თანამშრომელი, აქედან 23 მასწავლებელია. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლას ჰყავს 21 უფროსი და 2 წამყვანი მასწავლებელი. კონკურსის წესის თანახმად სკოლაში ასევე დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, რომლებიც ემსახურებიან 13 სსსმ პირს.

სკოლას შემუშავებული აქვს „პედაგოგის, თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესი“, სადაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული პერსონალის შერჩევის და დანიშვნის სრული მექანიზმი და კონკრეტულ პოზიციაზე მიბმული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის მიღება/შერჩევის წესი ხორციელდება კანონისა და სკოლის შიდარეგულაციის შესაბამისად. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. გაჰყავს მეორე ეტაპზე-გასაუბრება და შემდეგ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე. საადაპტაციო პერიოდია 2 კვირა. ამ ხნის განმავლობაში, დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი, აცნობს დასაქმებულს სკოლის ისტორიას, ტრადიციებს, სასკოლო

დოკუმენტაციას, სასკოლო შეფასებას, ეხმარება მას კლასთან და სასკოლო საზოგადოებასთან. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5. სკოლის მართვის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობის, მხარდაჭერის, გამოცდილების გაზიარებისა და გუნდურობის პრინციპს ეყრდნობა, რისი დასტურიც არის სკოლაში წარმართული კათედრის სხდომები, ურთიერთდასწრებები, განხორციელებული პროექტები, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (IV სტრატეგიული მიმართულება - თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და კონკურენტული სამუშაო გარემოს შექმნა) და ა.შ. სკოლის აქტიური თვითმართველობა სკოლაში არსებულ გუნდურ ატმოსფეროზე მიუთითებს. გუნდური მუშაობის პრინციპი დასტურდება კადრების შერჩევის დროს- გადაწყვეტილების მიღება ხდება არა სუბიექტური შეხედულებით, არამედ სკოლა ახორციელებს გუნდურად, ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

6. სკოლის შინაგანაწესში თანამშრომელთა აღიარების/წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:
ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია მასწავლებლის აღიარების და მოტივაციის ამაღლების მიზნით, წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით, გარდა დღესასწაულებთან დაკავშირებით წახალისების ფორმის გამოყენებისა. ყოველივე ეს ხელს უწყობს მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორის მოადგილესთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლის მასწავლებლებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს მუნიციპალიტეტის სხვა სკოლის მასწავლებლებს და მასწავლებელთა კონფერენციაზე წარმატებით გამოვიდნენ, რაც წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მაგალითია (დასტურდება სიგელებით, ინტერვიუებით სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, პორტფოლიოთი, თვითშეფასებით). სკოლას აქვს მზაობა, სხვადასხვა სახის წამახალისებელი ღონისძიებები დაგეგმოს და განახორციელოს ახალ სასწავლო წლიდან. მაგ. სწავლის დაწყებისას სარიტუალო ღონისძიებაზე გადაეცემათ დიპლომები, სიგელები, ფულადი პრემიები, რომელიც გაწერილია სამოქმედო გეგმაში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ბრძანება 1/კ-12 სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექნიზმის დამტკიცების შესახებ;
სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა,;
პედაგოგის/თანამსრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესი;
„პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

2 . შინაგანაწესი
სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება N1-კ-12

3. “პედაგოგის, თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესი“;
„პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა“;
თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება (N1/კ-15-21/-4/2023).

4. დირექტორის ბრძანება 1/კ-69 კონკურსის გამოცხადების, განაცხადის რეგისტრაციის ვადების და პირობების განსაზღვრის შესახებ;
ბრძანება 1/კ-02კომისიის შექმნის შესახებ;
ბრძანება 1/კ-04 მასწავლებლის დანიშვნის შესახებ;
მასწავლებლის ხელშეკრულება და შეთანხმება;
საკონკურსო კომისიის ოქმი N1 და N 2
ექიმზე-დირექტორის ბრძანება(1/კ-34 (27/07/2023) ვაკანსიის გამოცხადებისა და კონკურსის ვადების შესახებ;
ვაკანსია Hr-ზე N80347

5.საკონკურსო კომისიის ოქმი N 2
სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის ცნობის ასაღებად ქვითარი მასწავლებლის

6. შინაგანაწესი;
სიგელები, სერტიფიკატები
შეფასება:
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1 სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, რაც დასტურდება „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტში, სადაც საუბარია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, იმაზე რომ სკოლის მიერ ხელშეწყობილია მასწავლებელთა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, პროექტებში ჩართვა, საგანამანათლებლო პროგრამებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში. სკოლას დანერგილი აქვს მრავალმხრივი ობიექტური შეფასების სისტემა: მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება. წარმოდგენილია მტკიცებულების სახით სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმები და კათედრის და დამრიგებლის ანგარიში 2021-2022, სადაც სასწავლო წლის შეჯამებისას, გამომსვლელი მასწავლებლის სიტყვაში აღნიშნულია სხვადასხვა კათედრების მასწავლებლების აქტიური ჩართულობა თითოეული კოლეგის განვითარების ხელშეწყობასა და გამოცდილების გაზიარებაში. ასევე, მასწავლებლებმა წარმოადგინეს თავიანთი ანგარიშები, რომელიც, წარმოადგენს თვითშეფასებას.
სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა-ცხრილში ერთერთ მიზნად წერია ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების დადგენა; მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა. შეტანილი აქვს ტრენინგები მომდევნო წლისთვის, წლიურ სამოქმედო გეგმაში კი შეტანილი აქვს ამოცანა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“ და შემდეგი საქმიანობები:
სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მე-16 თავი ეხება პერსონალის პროფესიულ განვითარებას, სადაც იკითხება, რომ პროფესიული საჭიროების დადგენის ერთერთი მექანიზმი არის გაკვეთილებზე დასწრება და რეკომენდაციების გაცემა.
სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ესწრება გაკვეთილებს, ჯგუფის უკუკავშირის საფუძველზე იკვეთება პედაგოგთა საჭიროებანი და იგეგმება გზები (დასტურდება ოქმებით). ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2. ადამინაური რესურსების მართვის დოკუმენტში კარგად ჩანს, რომ სკოლას გათვითცნობიერებული აქვს ადამიანური რესურსების განვითარების როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. ც პერსონალის განვითარებისთვის საჭირო რამდენიმე ეტაპია გამოყოფილი: გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ღონისძებების დაგეგმვა; შესაბამისი კანდიდატების შერჩევა;

მასწავლებელთა პროფ. უნარებისა და ცოდნის შეფასება. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების პროფესიული ზრდა მუდმივი და უმნიშვნელოვანესი პროცესია. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომელშიც ორგანიზაციული თუ გარემოს ფაქტორების ანალიზი/შეფასება და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შეფასება მიმართულია ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებაზე, სადაც გაწერილია, რომ ადამიანური რესურსების საჭიროების უზრუნველყოფას სკოლა შეძლებს შესაძლებლობების ანალიზით და შეფასებით.
ყოველ წელს მასწავლებელი ავსებს სკოლაში შემუშავებულ მასწავლებლების თვითშეფასების კითხვარს პროფესიული განვითარებისთვის, რომელიც შედგება 24 კრიტერიუმისგან და მასში ასახულია საგნობრივი სტანდარტის, საგნობრივი კურიკულუმის, მოსწავლეების მიმართ ინდივიდუალური მიდგომების, პროფესიული განვითარების მოტივაციის, შესაძლებლობების და ა.შ. შესახებ.
სასკოლო სასწავლო გეგმის მე-16 თავში აღნიშნულია, რომ მასწავლებელს, გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილ საჭიროების საფუძველზე, ეძლევა რეკომენდაცია, პროფესიული განვითარების მიზნით, კონკრეტული მიმართულებების ტრენინგების გავლის შესახებ. მასწავლებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე განსახორციელებელი ღონისძიებები ჩანს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მე-4 თავში, სადაც ღონისძიებებად დასახულია თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. ამისთვის, ერთი მხრივ, როგორც ეს ადამიანურის რესურსების მართვის დოკუმენტშია აღნიშნული, იკვლევს მათ საჭიროებებს, მეორე მხრივ, მოსწავლეთა პროგრესის ანალიზს აკეთებს , რაც დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმებშია მოცემული. ამავდროულად იკვლევს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს (კითხვარები, სოც.ქსელებიდან მიღებული კომენტარებით)
გარდა ამისა, სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში; საგანმანათლებლო ღონისძიებებში. სავალდებულო ტრენინგებს ესწრებიან და ჩართულები არიან(ლიდერობის..) USAID პროექტებში, -„ლიდერობის სკოლაში"-ყოველივე ეს ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას და განვითარებას, რასაც ადასტურებს სიგელები, სერტიფიკატები სკოლის და მასწავლლებლების. გაკვეთილებზე ხორციელდება ურთიერთდასწრება (ხარისხის ჯგუფის დებულება, ოქმი, ჩატარებული ფიზიკის გაკვეთილის გეგმა, მასწავლებლის შეფასება/რეფლექსია) შეფასებები, უკუკავშირები და რეფლექსიები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა კარიერულ ზრდასა და წინსვლას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4. სკოლა ზრუნავს თანამშრომლის ინტეგრაციაზე ახალ სამუშაო გარემოსთან. საადაპტაციო პერიოდად 2 კვირა აქვთ გამოყოფილი. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი- „პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა", სადაც მოცემულია სქემის სახით პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის მიმდინარეობა, ასევე გაწერილია არჩეული კადრის სოციალიზაცია. დირექტორი განსაზღვრავს პირს (ზეპირსიტყვიერად და არა ბრძანებით), რომელიც მეგზურობას უწევს, აცნობს დასაქმებულს სკოლის ისტორიას, ტრადიციებს, სასკოლო დოკუმენტაციას, სასკოლო შეფასებას, ეხმარება მას კლასთან და სასკოლო საზოგადოებასთან ინტეგრაციაში. ინტეგრაციაში სკოლას ეხმარება სკოლის სამასწავლებლო, სასკოლო კათედრებისთვის გამოყოფილი ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები. ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად არის გუნდური, შეკრული კოლექტივი, რომელიც ქმნის კეთილგანწყობილ გარემოს, დაეხმარება ახალ კადრს ადაფტაციაში, გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბებაში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

5. სკოლის ექვსივე კათედრა ურთიერთთანამშრომლობით არაერთ მნიშვნელოვან ინიციატივას ნერგავს. კათედრის წევრების ინიციატივები პროექტების სახით კათედრების სამოქმედო გეგმაშიცაა მოცემული. ინტერვიუირების დროს დაასახელეს არაერთი პროექტი, რომელიც მოსწავლის იდეით თუ მასწავლებლის ინიციატივით იყო წამოწყებული. ამ პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელება სკოლის მხრიდან დიდ მხარდაჭერაზე მიუთითებს.
მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, ჩატარდა შიდა კონკურსი „შეაგროვე მაკულატურა" გამარჯვებული გახდა მე-3 კლასის დამრიგებელი და მოსწავლეები. დირექციამ მათი წახალისების მიზნით, კლასი და დამრიგებელი დააჯილდოვა სერტიფიკატით.
სკოლას აქვს მზაობა წაახალისოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები და ფინანსური ხარჯის გასაწევად საჭიროების შემთხვევაში) მოახდინოს ბიუჯეტის კორექტირება. ამისთვის მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნა წამახალისებელი სიგელის დიაზინი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

*დასტურდება (მტკიცებულებები);*

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

„ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბრძანება;
მასწავლებლისა და მოსწავლისთვის და ასევე მშობლისთვის განკუთვნილ კითხვარები;
2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა,;
პედაგოგიური საბჭოს ოქმი N5 , N6
კათედრის და დამრიგებლის ანგარიში 2021-2022;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი N4 (27/12/2022)
სერტიფიკატები;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის
დებულება.
4„პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა",
ჩატარებული ფიზიკის გაკვეთილის გეგმა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**
**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“. დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებს სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. ამისთვის სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი, რომლის მონაცემებიც გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად.
სამეურვეო საბჭოს, კანონის შებსაბამისად, ირჩევენ მასწავლებლები და მშობლები. საბჭო ჩართულია მმართველობით პროცესებში. მათთან შეთანხმებით მტკიცდება სასკოლო სასწავლო გეგმა და ხდება ამ გეგმის ეფექტიანობის შეფასება. მტკიცებულება არის 1.სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის ფორმა- გამზადებული სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და პედაგოგიურ საბჭოზე დასამტკიცებლად. 2.სამეურვეო საბჭოს დირექტორის ფინანსური და სასწავლო პროცესის ანგარიში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

\-------------------------

დოკუმენტში ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ, გაწერილია, რომ სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამებს, განხორციელების შეფასებას და შემდგომ გაუმჯობესებას; ხდება ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარება, ხელშეწყობა; სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება. სკოლაში დანერგილია გარე და შიდა შეფასების მექანიზმი. სკოლას აქვს გაკვეთილზე დასწრების შეფასება, კათედრების მუშაობის შეფასების რუბრიკები და შეფასება; აქვთ მშობლებთან ურთიერთობის დებულება; ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2. სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა).. ხარისხის განვითარების დოკუმენტში გაწერილია პროცესის მართვის დეტალები: დაგეგმვა, პროცესზე დაკვირვება, შეფასება, ანგარიში. თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციის დოკუმენტში თანახმად, დირექტორის მოადგილე არის პროცესზე პასუხისმგებელი პირი. სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესებში საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირება გაწერილია SWOT ანალიზით; ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3. სკოლის შინაგანაწესში განცხადებების/საჩივრების განხილვაზეა საუბარი. მანდატურის დებულებაც არეგულირებს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებს.
1. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს დადგენილი წესით.
2. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე სკოლის დირექცია რეაგირებას ახდენს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად.
3. სკოლაში შემოსულ საჩივარზე სკოლის დირექცია რეაგირებას ახდენს საქართველოს განათლებისა დამეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლების წესდების“ შესაბამისად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4. მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და დასაქმებულს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.
სკოლას ჰყავს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვის ერთგვარი გარანტორია.დისციპლინური კომიტეტის შეხვედრები დაოქმებულია. საერთო ბრძანებების ჟურნალში სკოლას გატარებული აქვს არაერთი მოსწავლისთვის თუ თანამშრომლისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელის ბრძანება, რაც დადასტურდა ადგილზე გადამოწმებით. ასევე, ადგილზე გაირკვა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა გაასაჩივრა მასწავლებლმა სამეურვეო საბჭოში, ხოლო საბჭოს დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში, რომელმაც დატოვა მიღებული გადაწყვეტილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

სკოლის შინაგანაწესით, რომელიც გამოკრულია სკოლის ფოიეში, უზრუნველყოფილია პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა კერძოდ, დოკუმენტში საუბარია მათ უფლებებზე, ვალდებულებებზე, გადაწყვეტილებების გასაჩივრებაზე. დოკუმენტით დასტურდება, რომ ორგანიზაციაში მოქმედებს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა და პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.დამრიგებლები წლის დასაწყისში მშობლებს აცნობენ ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამის მუხლებს, ბავშვის უფლებათა კოდექსს. აღსანიშნავია, ის რომ სკოლამ მშობლებს გაუფორმა ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია ორივე მხარის უფლება-მოვალეობები, რითაც უზრუნველყოფილია მშობლის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადაც აღნიშნულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები. „facebooke" -გვერდზე განთავსებულია ფოტოები და ვიდეოები , რომლებიც ასახავენ სასკოლო აქტივობა-ღონისძიებებს. სკოლა იცავს და ამავე დროს აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას თავიანთი უფლებების შესახებ.
ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი(ბრძანება 1/კ-14
სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი";
მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
სამეურვეო საბჭოს ოქმი N7 9/12/2022)).

2. .„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი(ბრძანება 1/კ-14
თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბრძანება 1/კ-15;
7 წლიანი სტრატეგიულ სამოქმედო გეგმა;

3.შინაგანაწესი;

4.მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მმართველ კოლეგიალურ ორგანოებში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას. .სასკოლო საზოგადოება მეტნაკლებად ჩართულია სკოლის მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში. კლასის დამრიგებელები აქტიურად არიან ჩართულები ამ პროცესში. ახდენენ მშობლების ინფორმირებას სხვადასხვა გზებით, სკოლაში მშობლების მოწვევა კრებაზე, ინდივიდუალური შეხვედრები, ინფორმაციის მიწოდება და გაზიარება, ეს გაწერილი აქვთ სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულებასა და „მშობლებთან ურთიერთობის, კომუნიკაციის დებულება"-ში. ამ დოკუმენტში სკოლისა და მშობლის მოვალეობებსა და უფლებებში მკაფიოდაა გაწერილი ინფორმირმაციების გაცემისა და მიღების მექანიზმები. მაგ: სკოლა აწვდის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; ძალადობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, სკოლა დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირებას და სხვა. ასევე, მშობელი ვალდებულია ჩაერთოს სკოლის საქმიანობებში: დაესწროს სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებებს, აქტივობებს, კრებებს; ნებისმიერი პრობლემა და გაუგებრობა გაარკვიოს დამრიგებელთან, დირექციასთან; იქონიოს კომუნიკაცია დამრიგებელთან. გაწერილია, ასევე, კომუნიკაციის გზები: მშობელთა კრებები, Teachers, Zoome-პლატფორმა, ელ-ჟურნალი, ელფოსტა, სოციალური ქსელი, ინდივიდუალური შეხვედრები, კრებები. თემი, საზოგადოება ერთვება პროექტების დროს. შემდგომ ხდება აქტივობების დაჯამება და შედეგის გაზიარება. მაგალითად: პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ მე-10 კლასში პროექტული სწავლებისას მიღებული ცოდნა შეაჯამეს და წარუდგინეს სკოლის საზოგადოებას. იმავე ოქმში მოცემულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მუშაობის ანგარიში, სადაც საუბარია მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ფოტოკონკურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_________________________

შესახებ, სადაც აღნიშნული სკოლის მოსწავლეები დირექციის მხარდაჭერით, წარმატებით წარსდგნენ გამოფენით „სიკეთის კეთება". ასევე, ჰქონდათ გასვლითი გამოფენა ქალაქ თერჯოლაში, სამხატვრო სკოლაში. ყოველივე ამან გამოიწვია საზოგადოების დაინტერესება გობელინის ტექნიკის გაცნობის კუთხით. მოსწავლეებმა და მასწავლებელმა მოაწყვეს საკუთარი ნამუშევრების გამოფენა-საღამოც, გაიმართა დისკუსია. საღამოს ესწრებოდა მუნიციპალიტეტის საზოგადოება, გაშუქდა „არგოს" ტელევიზიაზე. საზოგადოება მაქსიმალურად იყო ჩართული. გეგმავენ სხვა აქტივობებს ამ კუთხით. დაგეგმილია კათედრათაშორის ურთიერთობის გაღრმავება. ხარისხის განვითარების ჯგუფის თანამშრომლობა; პედაგოგების თანამშრომლობა ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. ინფორმაციები სხვადასხვა თემებზე გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და სკოლის კედლებზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული

2. კანონმდებლობის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოება ირჩევს სამეურვეო საბჭოს წევრებს, რომლებიც ერთვებიან მმართველობით პროცესებში, ასევე პედაგოგიური საბჭო ეცნობა და ერთვება აღნიშნულ საკითხებში. მაგალითად, თვითმმრათველობის ინიციატივით და სკოლის დირექციის მხარდაჭერით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და საინტერესო აქტივობები სხვადასხვა თემებზე, ჩაერთნენ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ პროექტებში. ეკოკლუბი „ფესვების" წევრებისა და თვითმმართველობის ინიციატივითა და დირექციის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „ვაჩუქოთ ერთმანეთს წიგნები", რომლის ფარგლებში, მერისგან საჩუქრად მიიღეს წიგნები, ქუჩებში ქალაქის მოსახლეობას ესაუბრებოდნენ ლიტერატურაზე, უსვამდნენ კითხვებს და სწორი პასუხის შემთხვევაში, ჩუქნიდნენ წიგნებს, რომელიც მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმში იკითხება.
სკოლას აქვს პროექტის შეფასებაზე სასკოლო სზოგადოების აზრის გასათვალისწინებლად შექმნილი კითხვარი მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის.
ასევე, მშობლების ჩართულობით და შერჩევით მოხდა მე-5 კლასში მეორე უცხო ენად რუსულის არჩევა, რაც იკითხება მშობელთა კრების ოქმში და რაც გათვალისწინებულ იქნა სასკოლო სასწავლო გეგმაში. შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში არის ჩანაწერი, რომ არაფორმალური განათლების გაძლიერების მიზნით სკოლაში ყოველწლიურად დაიგეგმება პრიორიტეტულ თემებზე სასკოლო პროექტი და აქტივობები,რაც ხელს შეუწყობს არამარტო მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში,არამედ მშობელთა ჩართულობას,ასევე თანამშრომლობას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
სკოლას აქვს მზაობა, სამომავლოდ დახვეწოს სკოლის მმართველობით პოლიტიკაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები. ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 7 წლიან სტრატეგიულ სამოქმედო გეგმა;
„მშობლებთან ურთიერთობის, კომუნიკაციის დებულება";
ბრძნება სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, უფლებამოსილების შეწყვეტის და რეგისტრაციის წესის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი (N6 (29/06/2023)

2 მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმი N3 (02/06/2023) ;
მშობელთა კრების (ოქმი (5/06/2023);
კითხვარი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რითაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (კერძოდ, სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და

**პირველადი დახმარების აღმოჩენას.** სკოლის პერიმეტრი დაცულია: სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში სკოლის დარაჯი და მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს 24 საათის განმავლობაში.
პირველ სართულზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინნაღმდეგო სტენდი სრული აღჭურვილობით. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. მანდატურები თავის საქმიანობას წარმართავენ მანდატურის სამსახურის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სკოლას აქვს სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. ამ ეტაპზე, გამოცხადებული აქვს ექიმის ვაკანსია hr.gov.ge-ზე. სკოლას ჰყავს 2 სპეცმასწავლებელი და ფუნქციონირებს რესურსოთახი.

სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; არ ჰქონდა, ასევე, 1) დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ 2) დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ), მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, აღნიშნული საკითხების მოგვარება 2024 წლის 17 ივლისამდე.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია ექიმის პოზიციაზე კვაკლიფიციური კადრის შერჩევა/დანიშვნის. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, აღნიშნული საკითხების მოგვარება 2024 წლის 30 აპრილამდე.
ინდიკატორი არ არის დარღვეული

2 სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლიდან მოსწავლის გასვლა სასწავლო პროცესის დროს დაშვებულია მხოლოდ დირექციასთან და მშობელთან შეთანხმების შემდეგ. საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბრძანება N 06/ნ -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“-შესაბამისად, სკოლის 2 მანდატური აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს. ასევე მრჩეველთა საბჭო, რომელსაც ეს საკითხი აქვს გაწერილი დებულებაში.უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესების შესახებ წერია სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების საკითხზე პასუხისმგებელია მთელი სასკოლო საზოგადოება: სკოლის დირექცია,ადმინისტრაცია, მორიგე მასწავლებლები და მანდატურები,რომელთა მიერ მკაცრად კონტროლდება უცხო პირთა შემოსვლა. აღნიშნულ შემთხვევაში მანდატური ან მორიგე მასწავლებელი აცნობებს სკოლის დირექციას შესაბამისი ზომების მისაღებად. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრები.
სკოლის პერიმეტრი დაცულია, სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები (კედელზე გაკრულია მორიგეობის ცხრილი და ჟურნალში ხდება სკოლაში შემოსულ პირთა აღრიცხვა).
ინდიკატორი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

3 სკოლას გააზრებული აქვს ვალდებულება, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო. ეს გაწერილი აქვს სხვადასხვა დოკუმენტებში (მაგ: მშობლებთან ურთიერთობები (კომუნიკაციის) დებულებაში). ასევე, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, აქვთ ადმინისტრაცია და მასწავლებლები ხშირად ატარებენ საუბრებს სასკოლო საზოგადოებასთან, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის მიზნით.
სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წინასწარ გაწერილი გეგმით წარმართვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოულოდნელობები და გაუგებრობები. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში არჩევითი საგნები განსაზღვრულია. არჩევით საგნად არჩეული აქვთ 1. სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა (ისწავლება XI-XII კლასებში); 2. XIX-XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა (ისწვლება XII კლასში).
დამრიგებლის მუშაობის დებულებაში აქვს გაწერილი ფსიქოლოგიური დახმარება-საუბრები. კერძოდ,ამ დოკუმენტში გაწერილია, რომ დამრიგებლის მუშაობის ერთერთი პრინციპი ეფუძნება მოსწავლეების დახმარებას პრობლემების აღმოჩენასა და დაძლევაში, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების აღმოჩენას და განვითარებას; კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო კლასში ქმნის მშვიდ, საქმიან გარემოს და აყალიბებს მოსწავლ;ეებს შორის მეგობრულ ურთიერთობას (დასტურდება დაწყებითი კლასის მშობელთა კრების ოქმით N2-20/10/2022წ. სადაც აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა თანადგომა და თანმშრომლობა მშობლებთან დადებითად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზეც). ინდიკატორი არ არის დარღვეული

4 სკოლას შინაგანაწესში გაწერილი აქვს ვალდებულებები, რაც მოიცავს რიგ ღონისძიებების განხორციელებას უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, გამოყოფილი ჰყავს მასზე პასუხიამგებელი პირი - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მენეჯერი. სკოლის საპირფარეშოებში, ექიმის ოთახსა და ბუფეტში განთავსებულია ხელსაბანი ნიჟარები და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისთვის საჭირო რესურსები (თხევადი და მყარი საპონი, ხელსახოცი), ასევე სკოლის შენობაში,რამდენიმე ადგილას განთავსებულია ხელის სადენზიფექციო ხსნარების ბალონები;
სკოლას ჰყავს 3 დამლაგებელი (2 შტატით და 1სოც), რომლებიც იცავენ სისუფთავეს, როგორც შენობაში, სველ წერტილებში, ასევე ეზოში (ვიზუალური დათვალიერებისას განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სისუფთავე შენობის ყველა წერტილში). სკოლს აქვს მზაობა დაასაქმოს მეეზოვე სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამით. ინდიკატორი არ არის დარღვეული

5 სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. შესაბამისად, ბრძანებით განსაზღვრულია პირი (საქმისმწარმოებელი), რომელიც არის პასუხისმგებელი პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვაზე, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით - პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, დადგენილი ნორმებით.
კომპიუტერული პროგრამები ლიცენზირებულია. კომპ. ლაბორატორიით მუშაობის წესი მტკიცდება ბრძანებით. ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ახალ კადრს შემოსვლისას აცნობენ პერსონალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი გაწერილია სადამრიგებლო პროგრამებში და მშობელთა ბარათებში, დამრიგებლის დებულებაშიც. მშობელთა ხელშეკრულებები ადასტურებს, რომ აცხადებენ თანხმობას შვილების შესახებ ინფორმაციის დამუშავებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



------------------------

სკოლაში ვიზიტის დროს ვიზიტორთა ჟურნალში რეგისტრაციის დრო პირადი ნომრის ჩასაწერი სივრცე იყო გამოყოფილი. ვინაიდან ამის თაობაზე არცერთ დოკუმენტში არ იყო საუბარი, შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, აღნიშნული ჟურნალის დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. სკოლაში ვიზიტის დროს, სკოლის მხრიდან აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა. ინდიკატორი არ არის დარღვეული

6 სკოლას აქვს სამოქმედო და ციფრული განვითარების გეგმები, სადაც გაწერილია ციფრული ტექნოლოგიების მართვის პრინციპები და პროცედურები, ინფორმაციისა და დოკუმენტების არქივის შექმნა. სკოლა მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლისა თუ პერსონალის შესახებ ინფორმაციას აგროვებს კანონიერი საფუძვლით კანონიერი მიზნებისათვის. სკოლას აღებული აქვს ვალდებულება და იცავს ინფორმაციის როგორც მატერიალურ (საკეტიანი კარადები, დაკეტილი ოთახი), ასევე ელექტრონულ ფორმას. ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებელი ამოწმებს კომპიუტერთა მდგომარეობას, პროგრამების , მათ შორის ანტივირუსული პროგრამის, მუშაობის ხარისხს.ა ნტივირუსული პროგრმები უზრუნველყოფს სკოლის კომპიუტერულ ბაზაში შენახული ინფორმაცის მაქსიმალურად დაცვას. აღსანიშნავია, რომ სკოლის კომპიუტერები ჩართულია განათლების მართვის საინფორმაციო სიტემაში. სკოლაში გამოყენებული პროგრამები ლიცენზირებულია. მშობელთა კრებებიც იმართება მხოლოდ საერთო-საკლასო საჭიროებიდან და ინტერესიდან გამომდინარე, რომელზედაც მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია არ ვრცელდება. სკოლის facebooke გვერდზე სასკოლო აქტივობის დროს გადაღებული ფოტოები მხოლოდ მშობელთა ნებართვით თავსდება.
მართვის ერთიან სისტემაში, შექმნილია ცალკეული მასწავლებლების პროფილები , რაზეც წვდომა შესაძლებელია პირადი კოდებით.კომპ. ლაბორატორიაში მუშაობის სარგებლობის წესი დამტკიებულია ბრძანებით. ინდიკატორი არ არის დარღვეული

7 სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებლის პროფ. ეთიკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის. სკოლას არ გამოუგზავნია მრჩეველთა საბჭოს დებულება, მაგრამ ადგილზე წარმოადგინა, სადაც წერია, რომ მრჩეველთა საბჭო შეისწავლის ამ კუთხით სკოლის საჭიროებას და რეკომენდაციას აძლევს დირექტორს უსაფრთხოების მიზნით, ღონისძიებების გაუმჯობესებისათვის. ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ იგეგმება მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება (სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა კითხვარებით), რომ გაიოლდეს ობიექტური შეფასება, შედეგების ანალიზი, რის საფუძველზეც მოხდება რეაგირება, განხორციელდება საჭირო ცვლილებები. და რისი მზაობაც სკოლას აქვს. ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1.წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა მმართველობის სფეროში შემავალი-სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს;
წერილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს .
შესაბამისობის გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

2.ბრძანება „მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ N1/კ-73;
.შინაგანაწესი;
მშობლებთან ურთიერთობის დებულება

3. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
დამრიგებლის მუშაობის დებულება;
კლასის დამრიგებლის ანგარიში;
მშობელთა კრების ოქმი N2-20/10/2022წ.

4.შინაგანაწესი;
5.ლაბორატორიით მუშაობის წესი მტკიცდება ბრძანებით(ბრძანება N1/კ-33 (23/07/2023);
პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ;ი პირის განსაზღვრის და პირის პერსონალური მონაცემების დაცვის წესების შესახებ ბრძანება N1/კ38 (27/07/2023)
6. .ლაბორატორიით მუშაობის წესი (ბრძანება N1/კ-33 (23/07/2023);
ციფრული განვითარების გეგმა

7.შინაგანაწესი
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლა ავტორიზაციას გადის 300 მოსწავლეზე. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სკოლის შენობა სამ სართულიანია, არის ნათელი და კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები და სკოლის მფლობელობაში არსებული ფართი. საკლასო ოთახებში არის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხები, სკამები, დაფა, კარადა და სხვა რესურსი. სკოლის დერეფანი, სპორტდარბაზი, კომპიუტერებისა და ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ბუფეტი, რესურსოთახი, სკოლის ეზო, რაც საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება ჰქონდეთ.

პირველ სართულზე არის 1 საერთო კეთილმოწყობილი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ლაბორატორია სათავსოთი, 3 სველი წერტილი (ერთი ადაპტირებული),რესურსოთახი, ბუფეტი(იჯარითა გაცემული და აქვთ ხელშეკრულება),ბიბლიოთეკა, 2 საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტდარბაზი გასახდელებით და მასწავლებლის სამუშაო ოთახით. მე-2 სართულზე არის სააქტო დარბაზი, რომელიც დღის მეორე ნახევარში ეთმობა ცეკვის სტუდიას (აქვთ იჯარის ხელშეკრულება), დამხმარე ოთახი (პარალელების არსებობის შემთხვევაში გამოიყენებს საკლასო ოთახად), საპირფარეშო, 4 საკლასო ოთახი, სამასწავლებლოს, დირექტორის, ბუღალტრის, არქივის ოთახები. მე-3 სართულზე არის 7 საკლასო ოთახი, 2 დამხმარე ოთახი (პარალელების არსებობის

შემთხვევაში გამოიყენებს სკლასო ოთახად), მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის პირის ოთახი, სველი წერტილი. ყოველივე ეს თანხვედრაშია შენობის აზომვით ნახაზთან.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლის ბუღალტერთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა ახორციელებს გაზეთი ,,ახალი განათლების'' შესყიდვას, რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინრე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლის ბიბლიოთეკაში მოცემულია კატალოგიც, რომელსაც მოსწავლეები წიგნის ძიების დროს თავადაც იყენებენ. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც ბიბლიოთეკარს გატარებული აქვს სკოლის წიგნადი ფონდი (სასწავლო რესურსის კატლოგი). სკოლას აქვს მზაობა წიგნადი ფონდის გამდიდრების, რისი მტკიცებულებაც არის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში 2023-2030 წლების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა-ცხრილში გაწერილი სასწავლო რესურსებისა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის შეძენა, განახლება. აქვე გაწერილია კომპიუტერული ლაბორატორიაში ტექნოლოგიური ბაზის განახლება/ გაუმჯობესება; გარე სპორტული მოედნის და ეზოს კეთილმოწყობა.

სამასწავლებლო, ლაბორატორიები და კაბინეტები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მასწავლებელს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება ინვენტარიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპიუტერული ტექნიკის საერთო რაოდენობა არის 18, რომელთაგან 1 არის რესურსოთახში, 1-ბიბლიოთეკაში, 1-საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, 5 არის ადმინისტრაციულ ნაწილში განთავსებული, 1- სამასწავლებლოში, ერთი -მანდატურის ოთახში და 8 არის კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს 3 პრინტერი და 2 პროექტორი. კორპუსის ყველა საკლასო ოთახში და სხვა სივრცეებში არის საკაბელო ინტერნეტი და, ასევე, WIFI. სკოლას აქვს გაწერილი კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის წესი და გაკრული აქვს კედელზე.

სკოლას აქვს ელ-ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, გათბობის სისტემა, სველი წერტილები. წლის ბოლოს მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი ამოწმებს სკოლის ინვენტარს, აღრიცხავს დაზიანებულს და სკოლის დირექტორს აცნობს არსებულ ვითარებას, დირექტორი ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობით ინფრასტრუქტურის სააგენტოს უგზავნის წერილს და მოითხოვს სკოლისათვის საჭირო ინვენტარს. სკოლის თხოვნა კმაყოფილდება.

სკოლას აქვს მოსწავლეზე გათვლილი სააქტო დარბაზი, რომელიც იჯარით აქვთ გაცემული და ცეკვის სტუდია ფუნქციონირებს დღის მეორე ნახევრიდან. სკოლა ამ ოთახს იყენებს თვითონაც. აქვს ბუფეტი. დერეფანში მოწყობილია თავისუფალი სივრცე მოსწავლეებისთვის. სამასწავლებლო, ლაბორატორიები და კაბინეტები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მასწავლებელს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება ინვენტარიზაცია მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა გაწერილია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ცხრილში. **ინდიკატორი არ არის დარღვეული.**

2 სკოლის ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკა, რეკრეაციული ზონა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრთათვის სამუშაო დღეებისა და საათების განმავლობაში. საჭიროებისამებრ, შაბათ-კვირასაც. (მაგალითად კლასი ამზადებს პროექტს ან ღონისძიებას, დირექტორთან შეთანხმებით მათ აქვთ საშუალება ისარგებლონ შესაბამისი სასკოლო სივრცით. სპეცპედაგოგები რესურსოთახში მეცადინეობის გრაფიკს ადგენენ და ამით ხელმძღვანელობენ მოსწავლეები. კოლეგებთან შეხვედრა რესურსოთახში იგეგმება გაკვეთილების შემდეგ.
ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის შესაბამისად, მოსწავლეებს აქვთ საშუალება სასურველი წიგნი გაიტანონ. აქვთ ყველა გრიფმინ. სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლიარი სკოლის სარგებლობაში. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა შეესაბამება სკოლის მიერ არჩეულს; აქვს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნები(ჟურნალი). სამოქმედო გეგმაში უწერიათ წიგნადი ფონდის განახლება. პერიოდიკა-ახალი განათლება, ეცნობიან მასწავლებლები. მოსწავლეების ფორმულარები აქვთ და ასევე პედაგოგების, საიდანაც ჩანს წიგნების გატანა. ძირითადად გააქვთ 1-7 კლასის მოსწავლეებს. აქვს სამუშაო გეგმის მონახაზი.. 1 კლასელს დამრიგებელთან ერთად აცნობს ბიბლიოთეკის მუშაობის პრინციპს, უკითხავენ საბავშვო მოთხრობებს, ზღაპრებს(ინტერვიუდან). ინდიკატორი არ არის დარღვეული

3 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შენობა ადაპტირებულია და ყველა მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში მიიღოს განათლება, მოსწავლეებს აქვთ ინდივიდუალური მერხები თავიანთი ასაკის შესაფერისად, საკლასო ოთახებში განთავსებულია თანამედროვე დაფები , კლასები ნათდება კარგად, რომ ხედვის პრობლემა არ შეიქმნეს. უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათების შესაძლებლობაც. კლასები თბება სათანადოდ. ფართო და ნათელი დერეფნები იძლევა კომფორტული გადაადგილების საშუალებას. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობაც შესაძლებელია გაკვეთილების შემდეგ და საგაკვეთილო პროცესშიც, საჭიროებისამებრ, რაც კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესშია გაწერილი. სკოლას აქვს სარეკრიაციო ზონები არაფორმალური განათლების კუთხით სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად. სკოლას აქვს ადაპტირებული სასწავლო გარემო სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლაში შემოსასვლელ კიბეებთან არის პანდუსი. არ არის ლიფტი. მხოლოდ პირველ სართულზეა განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. რესუროთახი გამდიდრებულია სსსმ მოსწალვეთათვის საჭირო ინვენტარით. ასევე, ყველა სსსმ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური უჯრა. ადგილზე დათვალიერებით, აღმოჩნდა,. რომ სპეცმასწავლებლებს ყველა მოსწავლეზე აქვთ ისგ გეგმა ყველა საგანში და ასევე მათი კლასთან ინტეგრირების მექანიზმები. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლაში არის საკონფერენციო დარბაზი, სასპორტო მოედანი და დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო სივრცე და კიდევ სხვა სივრცეები დერეფნებში იმისათვის, რომ გაიმართოს ფორუმები, ლექცია-შეხვედრები, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.. ფუნქციონირებს კლუბები. საგამოფენო სივრცეები მასპინძლობს მოსწავლეთა ნამუშევრებს. მოსწავლეთა ნამუშევრები გამოფენილია დერეფნებში. სკოლას აქვს მზაობა განაახლოს სკოლის ბიბლიოთეკის მხატვრული ლიტერატურის ფონდი. სკოლაში არსებული სივრცეებით სარგებლობა შეუძლიათ ადგილობრივ საზოგადოებას, მაგალითად სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან და მასთან ერთად გეგმავს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს . სკოლას აქვს

მზაობა ბიუჯეტში „საქონელსა და მომსახურებაში“ გაწერილი ფინანსები , საჭიროების მიხედვით, გადაიტანოს კულტურული ღონისძიებებისთვის და ამისთვის მოახდენს ბიუჯეტის კორექტირებას.
მოსწავლეები დამრიგებელთან, დირექციასთან შეთანხმებით გაკვეთილების შემდეგ რჩებიან სკოლაში და იმის მიხედვით, თუ რას საჭიროებენ (რეპეტიციას, სპორტულ აქტივობებში ვარჯიშს, პროექტებისთვის რესურსების მომზადებას და სხვა ) იყენებენ შესაბამის სივრცესა და რესურსს.
სამასწავლებლო, ლაბორატორიები და კაბინეტები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მასწავლებელსა და მოსწავლეს სოციო-კულტურული აქტივობების განსახორციელებლად(ჩაწერილი აქტივობები). ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსებია:
ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
ბ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;
გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);
დ) ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ბუნებრივი გარემო და სხვ.
მათემატიკა: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, თერმომეტრი და ა.შ
ქართული: ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები და ა.შ
საზოგადოებრივი მეცნიერებები: რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები, კომპასი, გლობუსი და ა.შ
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ლაბორატორიის სრული კომპლექტი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები და ა.შ
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, პლაკატები, ფანქრები, სახატავი მასალები და ა.შ..სპორტი: ბურთები, ჭადრაკი დაფები, ჰულაჰუპები და სხვა. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა/ცხრილი;
ბუფეტის იჯარით გაცემის ხელშეკრულება;
იჯარის ხელშეკრულება ცეკვის სტუდიაზე;
მერხების მოთხოვნის წერილი;
სასწავლო რესურსის კატალოგი;
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

შენობა-ნაგებობის სქემა;
ბრძანება ლაბორატორიით სარგებლობის წესზე;
.ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი
2 ბრძანება ლაბორატორიით სარგებლობის წესზე;.
ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი
4. მემორანდუმი;
ბიუჯეტის გეგმა

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, სკოლამ გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა, სადაც გაწერილია კომპიუტერული ტექნიკის გაუმჯობესება, ელექტრონული რესურსების შექმნა/გამოყენება და პრობლემების გადაჭრა (კიბერ უსაფრთხოება, ტექნიკური პრობლემები)კუთხით;
კომპიუტერული ტექნიკის საერთო რაოდენობა არის 18, რომელთაგან 1 არის რესურსოთახში, 1 ბიბლიოთეკაში, 1-საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, 5 არის ადმინისტრაციულ ნაწილში განთავსებული, 1- სამასწავლებლოში, ერთი -მანდატურის ოთახში და 8 არის კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს 3 პრინტერი და 2 პროექტორი(რაც ადგილზე დადასტურდა მიღება-ცაბარებების აქტით). კორპუსის ყველა საკლასო ოთახში და სხვა სივრცეებში არის საკაბელო ინტერნეტი და, ასევე, WIFI. სკოლას აქვს გაწერილი კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის წესი და გაკრული აქვს კედელზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული

2 ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის, გამოყენების მიზნობრიობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპით; კომპიუტერული ლაბორატორიასთან გამოკრულია კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილების ჩატარების განრიგი,რომელიც ორდღეზეა გათვლილი, დანარჩენ დროს სხვა საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეებსაც თავისუფლად შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერებით საგაკვეთილო პროცესში, ასევე ხდება საჭიროების შემთხვევაში განრიგის მოდიფიცირებაც; სკოლას აქვს ასევე პროექტორი, პროექტორის ეკრანი,რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში პრეზენტაციების გაკეთებისთვის და სხვა. სამასწავლებლოში დგას ორი პერსონალური კომპიუტერი, მასწავლებლებს საშუალება აქვთ ინდივიდუალურად გამოიყენონ სკოლაში არსებული ნოუთბუქები , პროექტორები. ყველა საკლასო ოთახში არის წვდომა ინტერნეტზე ( WIFI და საკაბელო ინტერნეტი) . ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ლაბორატორიაში მუშაობის წესი
2. ციფრული განვითარების გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. ასევე, შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელშიც ექსპერტთა რჩევით ვიზიტის დროს შეიტანა ცვლილებები. სკოლას აქვს შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები).
სკოლას ასევე აქვს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლა იყენებს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას. ბრძანებების წიგნს. დოკუმენტაციის წესისამებრ შენახვა-წარმოებას უზრუნველყოფს სკოლის საქმისმწარმოებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

სკოლას აქვს დოკუმენტების შენახვის სისტემა, ხოლო საარქივო მასალას ხელშეკრულების საფუძველზე ინახავს ზესტაფონის რეგიონულ არქივში.
სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით და წესით. დასაქმებულთა პირად საქმეებში კანონით განსაზღვრული ერთერთი დოკუმენტი-ცნობა სქესობრივი ძალადობის შესახებ, არ აღმოჩნდა, მაგრამ სკოლამ ექსპერტების ვიზიტის დროს დაიწყო მასწავლებლების რეგისტრაცია, აღნიშნული ცნობის აღების მიზნით. ინდიკატორი არ არის დარღვეული

2 სკოლის მართვისათვის გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები: დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა- eflow, ასევე eschool, სკოლის ელფოსტა email.mes.gov.ge , gmail.com.
ინდიკატორი არ არის დარღვეული

3. ზოგადი განათლების მართვის სისტემა eschool -ში სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი. სკოლის პროფილი მოიცავს საჭირო ინფორმაციას პერსონალის, მოსწავლის , მოსწავლეთა მშობლების-კანონიერი წარმომადგენლის შესახებ, მასზე განთავსებულია საშტატო განრიგი, საათობრივი ბადე, საგაკვეთილო ცხრილი, ინფორმაცია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების შესახებ და სხვა საჭირო ინფორმაცია. ინდიკატორი არ არის დარღვეული

4. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, ელექტრონული ფოსტა ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაციას დროულად მიაწოდოს ანგარიშები, უკუკავშირი და ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს. ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
2. საქმისწარმოების წესი;
3. სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლის ელექტრონული ფოსტა;
5. დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

\-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

1 სკოლას აქვს შექმნილი დებულება მშობლებთან ურთიერთობის და კომუნიკაციის/კომუნიკაციის სტრატეგიის, სადაც „მუხლი 4“-ში გაწერილია დაწვრილებით, მშობლებთან შეხვედრები და მათთან კომუნიკაციის გზები. სასაზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით კი სკოლა იყენებს ფეისბუქგვერდს https://www.facebook.com/dilikaurissajaro.skola.5/. მოსწავლეთა ინფორმირებისათვის იყენებს თიმსის პლატფორმას, მშობელთა ინფორმირებისათვის მესინჯერის ჯგუფებს; ელ-ჟურნალიც კომუნიკაციის და უკუკავშირის მაგალითია; კონკურსების თაობაზე საზოგადოება ინფორმაციას იღებს როგორც სკოლის საინფორმაციო დაფიდან (სხვადასხვა ინფორმაცია იდება), ასევე, „pedagogi. ge“ და „hr.gov.ge“-ს გვერდებიდან.
სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა ვებ გვერდი, თუმცა არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლამ უკვე შექმნა ოფიციალური ვებ გვერდი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 სკოლა თავისი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების, ღონისძიებების შესახებ ავრცელებს ზუსტ და სანდო ინფორმაციას, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, გამჭვირვალეა და არ შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს. სკოლის სოციალურ ქსელში, ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე და სკოლის სხვა სივრცეებში განთავსებული მასალები ადასტურებენ სკოლის საქმიანობის სანდოობას და უტყუარობას. ასევე, მასწავლებლებთან გადაგზავნილი აქვთ Eflow-ს საშუალებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციები. სკოლაში დაგეგმილი შეხვედრები შეთანხმებულია სამინისტროსა და ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. სასკოლო ღონისძიებები და პროექტები, იგეგმება სასკოლო საზოაგდოების ჩართულობით, ინტერნეტრესურსებად მიეწოდებათ გადამოწმებული და სანდო ვებგვერდები.
**ინდიკატორი არ არის დარღვეული.**

3 სკოლა სასკოლო საზოგადოებისა და თემისაგან უკუკავშირს იღებს ზეპირსიტყვიერად ან სკოლის facebook-გვერდის კომენტარების სახით. ეს უკუკავშირი ეხმარება საქმიანობის უკეთ დაგეგმვაში. აქვთ მზაობა, დაგეგმონ გასაუმჯობესებელი ნაბიჯები. სკოლა სამომავლოდ მზად არის თავის საქმიანობაზე მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს განვითარებისათვის. ამისათვის კი, როგორც საუბარში აღნიშნა, სამომავლოდ დახვეწს უკუკავშირის ფორმებს და მათზე რეაგირების მექანიზმებს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლას აქვს ფეისბუქგვერდი https://facebook.com/dilikaurissajaro.skola.5/), რომელზედაც ინფორმაცია თავსდება ქართულ ენაზე. სკოლას აქვს ასევე, ბლოგი, რომელიც კონკრეტულად შეიქმნა პროექტ „ციფრული სკოლა-საქართველოს“-ფარგლებში და მასთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ არის ინფორმაცია განთავსებული -https://dilikauridilikaurischool.blogspot.com/. სოციალური ქსელის არხი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ამიტომ სკოლა გეგმავს სკოლის ბლოგზეც განათავსოს სხვადასხვა საჯარო სახის ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა ვებ გვერდი, თუმცა არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლამ უკვე შექმნა ვებ გვერდი. მასზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 სკოლას აქვს facebook-გვერდი, რომელზეც განათავსებს მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების, ჩარიცხვის პროცედურების, პირველკლასელთა ჩარიცხვის ვადებისა და სხვა პროცედურების შესახებ ინფორმაციებს. სასკოლო საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტებით (სტრატეგიული გეგმა, შინაგანაწესი, ფინანსური ანგარიში და სხვა). ასევე, დამრიგებლებიც ჩართულნი არიან მშობელთა ინფორმირებაში (დამრიგებლის კლასის საათი, გვერდი სოც. ქსელში-ლინკი).
სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა ვებ გვერდი, თუმცა არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერა, რომ მუშაობა ინდიკატორზე დაწყებული აქვს. დასკვნის მომზადებისას, ექსპერტები შევიდნენ სკოლის ვებ გვერდზე და აღმოჩნდა, რომ სკოლას ატვირთული აქვს ვებ გვერდზე საჭირო ინფორმაცია სკოლის შესახებ. ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1.მშობლებთან ურთიერთობის და კომუნიკაციის დებულება;
facebook.com/profile.php?id=100054607563176
ფეისბუქგვერდის ლინკი-https://www.facebook.com/dilikaurissajaro.skola.5/)
ბლოგის ლინკი-- https://dilikauridilikaurischool.blogspot.com/
შესაბამისობის გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლას აქვს საპროგნოზო, ფაქტობრივი ბიუჯეტი. ასევე დაფინანსების დინამიკა დადებითია. ბიუჯეტი მორგებულია სამოქმედო გეგმაზე. შეიძინეს ბიბლიოთეკისთვის კარადები, ინკლუზიურისთვის რესურსები, რბილი ავეჯი, ექიმის ოთახისთვის საჩვენებელი პლაკატები... აქვთ მიღება-ჩაბარების აქტები ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, რაც ადგილზე წარმოადგინა სკოლამ.
ამჟერად სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობა მერხების და სკამების (220 ერთეული) და მოსწავლეთა მატების შემთხვევისთვის, დამატებით, მოთხოვნილი აქვთ საჭირო რაოდენობის მერხები.
სკოლამ საუბარში აღნიშნა, რომ მცირებიუჯეტიანია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და დამტკიცებულ ბიუჯეტში (საქონელი და მომსახურებიდან) ცვლილება/კორექტირების შეტანით, უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. სკოლა ყოველწლიურად ადგენს საკუთარი ფინანსურ ანგარიშს, რომელიც ივსება 6 თვეში ერთხელ და წლის ბოლოს,ეგზავნება სამინისტროს,რესურსცენტრის გავლით. ფინანსური ანგარიშის ფორმის შევსება ხდება ბუღალტრის მიერ და მასზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი.
სკოლის წლიური ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში არ არის განთავსებული, საჯაროდ, მაგრამ აქვს მზაობა, ვებ-გვერდის შექმნის, რათა შემდეგ, გახადოს საჯარო. ფინანსური რესურსების მართვას სკოლა ახორციელებს გეგმის შესაბამისად. საქონელი და გამოყოფილი აქვს თანხა. წინა წლის ფინანსური ხარჯი თანხვედრაშია ბიუჯეტის სამოქმედო გეგმასთან. ბიუჯეტში ცვლილებებს ახორცილებს სკოლის დირექტორი, სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, უთანხმებს სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს ბიუჯეტში ცვლილებებს. ყოველწლიურად დეკემბრის თვეში, კანონის შესაბამისად, დირექტორი სამურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესისა და ფინანსების თაობაზე.
სკოლაში ხდება ფინანსური პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე, ასევე ხდება მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი ინტენსიურად. ამასთან, გეგმაში არსებული საკითხების შესრულება, რომელთაც სჭირდება ფინანსური მხარდაჭერა, არაა გათვალისწინებული სკოლის ბიუჯეტში. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მატერიალური რესირსების შევსება განსაზღვრულია. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

________________________

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1..ბიუჯეტის პროექტი და დამტკიცებული ბიუჯეტი;

2. სამეურვეო საბჭოს ოქმი 2022წ.დეკემბერი/დირექტორის ანგარიში

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების" შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექციასთან ერთად, შინაგანაწესის სრული დაცვით უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნას. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების" შესაბამისად, სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. ამასთანავე, სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო, სადაც მოსწავლეები ახდენენ თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ტარდება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. საჩივრის შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას, დირექციას, მანდატურს, რომელთა მიერ ხდება სათანადო ღონისძიებების გატარება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2. მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის თვალსაჩინო ადგილზე. აღნიშნულის გაცნობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. აღნიშნულ შინაგანაწესს იცნობს სკოლის ყველა თანამშრომელი. კანონით გათალისწინებული უფლებების დამდგენი დოკუმენტები, როგორიც არის მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ასევე სადამრიგებლო პროგრამაში არის ვალდებულება აღნიშნული დოკუმენტი გააცნოს სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე როგორც მოსწავლეს, ასევე მშობელს. ასევე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბავშთა უფლებების კოდექსი. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას, ასევე, გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაციები, კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრების განსაზღვრა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ვადები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება ინდიკატორი არ არის დარღვეული

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი და სხვა მნიშვნელოვანი პირობები. ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
2. სკოლის შინაგანაწესი, დამრიგებლის მიერ შექმნილი ჯგუფები სოციალურ ქსელში.
3. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.
4. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტი

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენისა და მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დებულებაში გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი.მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისას სკოლა მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს მოსწავლეთა განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვა. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა შესაძლებელია მოხდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტის შესაბამისად. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება მოსწავლეთა მობილობა. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს. სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-

აღდგენისა და მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დებულებაში და მოსწავლეთათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ხდება მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ (თუ როგორ მოხდება საფეხურის დაძლევა) ინფორმაციის მიწოდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. მოსწავლის მიერ ზედიზედ სასწავლო დღეების გაცდენის შემთხვევაში, დამრიგებელი მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, ამზადებს წერილობით ანგარიშს მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზებთან დაკავშირებით. 20 სასწავლო დღის შემდეგ კი სკოლა მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკს. ხოლო ზედიზედ 45 სასწავლო დღის შემდეგ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უჩერებს სტატუსს. ხოლო მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნულის თაობაზე მოსწავლის მშობელის/კანონიერი წარმომადგენელისათვის ცნობებას გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში და ინფორმაციის მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს და ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ინდიკატორი არ არის დარვეული.

3. სკოლას აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეებს შესთავაზოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება უფასო კლუბების სახით (სამოქალაქო განათლების, წიგნიერი). აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ეცნობებათ სასწავლო წლის დაწყებისას, რასაც უზრუნველყოფს დამრიგებელი სასკოლო კრებებზე. ასევე სკოლაში არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია საინფორმაციო დაფის მეშვეობით. ინდიკატორი არ არის დარღვეული

4.სკოლის პერსონალი პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროს იცავს საქართველოს კანონმდებლობას. მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებს სკოლა ეცნობა და ითვალისწინებს საკუთარ საქმიანობაში. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.კურიკულუმი;

2.სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენისა და მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების შესახებ

დებულება

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა ხელს უწყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, კერძოდ, შექმნილია დოკუმენტი-„მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენისა და მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები, სადაც გაწერილია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, პირველი კლასის გარდა სხვა კლასში გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის პირობები,წესი ასევე განსაზღვრავს სადამრიგებლო პროგრამაში განსახორციელებელ აქტივობებს, რომლებიც უნდა განახორციელოს დამრიგებელმა, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს სასკოლო გარემოში ადაპტაცია. (კლასის საათები, ექსკურსიები,

ერთობლივი პროექტები და ა.შ.) სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდ. გეგმის შემუშავება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს, რათა მოხდეს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტოვობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. ამასთანავე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მატერიალური რესურსითაც. ინდიკატორი არ არის დარღვეული

3. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენის შემთხვევაში მასწავლებლები უზრუნველყოფენ ჯგუფური ან და ინდივიდუალური გაკვეთილების ჩატარებას. ასევე, ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, აღნიშნული უზრუნველყოფილია საშემოდგომო ან/და წლიური გამოცდების შემთხვევაში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4. სკოლა მოსწავლეს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. კერძოდ, ხდება ინფორმაციის მიწოდება, უწევთ თუ არა სემესტრული გამოცდების, საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნის გამოცდების ჩაბარება. მიეწოდებათ ინფორმაცია მათი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. ასევე, სკოლა დროულად აცნობებს მოსწავლეებს გაცდენის შედეგების შესახებ. აწვდის ინფორმაციას რომ შეუძლიათ სასკოლო ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა და ჩაერთონ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია გაცდენილი შემაჯამებელი სამუშაოების აღდგენის წესი, ასევე შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის წახალისების და დისციპლინური სახდელის განხორციელების წესი. ინდიკატორი არ არის დარღვეული

5. ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს დამატებით, არაფორმალურ განათლებას, 2023-2024 სასწვლო წლის სასკოლო გეგმის პროექტში განსაზღვრულია სასკოლო კლუბების ჩამოყალიბება. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება. სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ექსკურსიების ჩატარების მექანიზმი . ინდიკატორი არ არის დარღვეული

6. სკოლას აქვს მზაობა, რათა მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სკოლის პროგრამების, წრეებისა თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ, მიღებული ინფორმაცია გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას, რათა შეაფასონ წარმოდგენილი უკუკავშირის შესაბამისობა და გაზიარების შემთხვევაში დასახონ მისი გაუმჯობესების გზები და გაითვალისწინონ შემდგომ სასწავლო პროცესში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენისა და მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დებულება;

2.2023-2024წ. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

3. საინფორმაციო დაფა;

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს კოლეჯთან. სკოლას აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიულიორიენტაციის გაკვეთილები ესგ-ს მოთხოვნათა მიხედვით, რაც გაწერილია 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამრიგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამების მოსწავლეებისათვის გაცნობას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3.სკოლა მზად არის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესის დროს უზრუნველყოს სკოლაში განხორციელებული პროცესებიდან ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრის და მისი ანალიზის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

მისი დაძლევის სტრატეგიაების შემუშავებისთვის. აღნიშნულის გამოკვეთაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კათედრების ანგარიშების და swot ანალიზი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან;
3. SWOT-ის ანალიზი
4. კათედრების ანგარიშები.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის მექანიზმი გაწერილია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში. თითოეულ მოსწავლეს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ჰყავს შესაბამისი ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეც. მასწავლებლები. სსსმ მოსწავლეებისათვის იქმნება ესგ-ზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. პერიოდულად ხდება აღნიშნული გეგმების მონიტორინგი. რომლის შედეგადაც მასში ხორციელდება ცვლილებები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეების წინსვლასა და განვითარებაზე. მშობლის ჩართულობითა და თანხმობით, მასწავლებლების ჩართულობით შესაძლებელია მოსწავლის გადაფასების მიზნით მოხდეს

მულტიდისციპლინური გუნდისათვის მიმართვა, ხოლო გადაფასების შემთხვევაში მოხდეს გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინება და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ფორმების დახვეწა, საჭიროების შემთხვევაში ინდ. გეგმაში ცვლილების შეტანა. სპეცმასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, რომ 3 მოსწავლე გადაფასდა და მოეხსნა სტატუსი. ასევე, სკოლამ მოახდინა ტრაზაქცია სსსმ პირის პროფსასწავლებელ „იბერიაში“.

სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ინტერვენციის გეგმაც. მონიტორინგის მიზნით სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ისეთი პირები, რომლებიც არ არიან ისგ ჯგუფის წევრები. რესურს-ოთახში, რომელიც განლაგებულია სკოლის შენობის პირველ სართულზე არის შექმნილი ყველა პირობა მოსწავლის ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობისთვის. სპეციალური მასწავლებლები სრულად არიან ჩართული სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2. სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმას, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. ინდიკატორი არ არის დარღვეული

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ისგ სხდომის ოქმი;
   ინტერვენციის გეგმა;
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**4.2.4.** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის ფასიან მომსახურებას წრეების სახით. სკოლა იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გასცემს სკოლის ფართს, სადაც ფუნქციონირებს ფასიანი წრე (ხალხური ცეკვები). იჯარის ფორმით ფართის გაცემა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს თანხმობის საფუძველზე, რომლის შემდეგაც ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობის მიღება, რომელთა საფუძველზეც აუქციონის სახით აუდიტის დასკვნის შესაბამისად ხდება აუქციონის ჩატარება და გამარჯვებულ პირთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. სკოლაში, ასევე, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლების გაიცემა სასკოლო კვების ობიექტი, სადაც კანონმდებლობის შესაბამისად ხდება პროდუქციის დამზადება და გაყიდვა. ინდიკატორი არ არის დარღვეული

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი და არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არის ნებაყოფლობითი. მოსწავლე და მისი მშობელი ინტერესების გათვალისწინებით იღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტული მომსახურებით სარგებლობის შესახებ. სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, მხარეებს შორის ხდება პირობების გაცნობა, შეთანხმება და შემდგომ მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება. სკოლის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი მომსახურება მიზნად ისახავს მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3.სკოლა ესგ-თი გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურების, ასევე, იჯარით გაცემული მომსახურების გარდა სხვა დამატებით მომსახურებას, ამ ეტაპზე, არ სთავაზობს მოსწავლეებს.
სკოლას აქვს მზაობა, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება არაფორმალური განათლების სახით, კერძოდ, სასკოლო კლუბების სახით, რაც გაწერილია 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. იჯარის ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი / დაწყებითი საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

| სტანდარტი 2<br><br>სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*<br>☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლაში მოქმედებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. იგი გაწერილი და წარმოდგენილია 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტში, „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტში და ასევე, იკითხება სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში.
დაწყებით საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში.
დოკუმენტების შესწავლისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. მასწავლებლების მიერ იქმნება მატრიცის ჩარჩო, ამ ჩარჩოთი განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება,საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. პარალელური კლასის პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე როგორც პარალელურ კლასებში (ამჟამად სკოლაში არსებობს ერთი პარალელური კლასი), ასევე სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლის დირექციას. იგი საგნის მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

(მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლების) ინფორმირებულობას, რომლებიც თავის მხრივ, აქტიურად ჩართულნი არიან პროცესში. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. კათედრის მიერ შექმნილი მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედება, ასევე, გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმების მიხედვით განხორციელებელი სასწავლო აქტივობები, მოხდება მასწავლებელთა მიერ საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და შემუშავდება რეკომენდაციები მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვეწად და სასწავლო პროცესში დასანერგად. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

**2** დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმების პროექტში კარგად ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხების თემატურად დაყოფა, თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ (მაგალითად მე- 3 კლასის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმი). სკოლა მისია-ხედვა- ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და დაუკავშიროს ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესები, უშუალოდ დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ამოიცნობა, რომლებსაც თან ახლავს კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების ბარათები, შეფასების რუბრიკები და სხვა. ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას.
კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა სკოლაში ფუნქციონირებული კლუბებისა და წრეების საშუალებით, როგორებიცაა ,,წიგნიერება“. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.
სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას“ დოკუმენტში, საგნობრივი მეთოდოლოგიის შემუშავების პროექტსა ( ე.წ. N12 დოკუმენტი) და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

მიღებას და გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით კათედრას აქვს მშობლებთან ურთიერთობის საფუძველზე მათი ინტერესების გათვალისწინების გამოცდილება, რაც „მშობლის ბარათის" გამოყენების პრაქტიკით დასტურდება.
სკოლასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესისა და საჭიროების გათვალისწინებით კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში კანონზე დაფუძნებით მონაწილეობს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სრულყოფილ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მონახაზი, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო.
დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიურონ მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამების ნიმუშები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და როგორც ჩანს, სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. აქვე იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეულია შეფასების პირველი მოდელი. რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმებითა და საგნობრივი კათედრის ოქმების საშუალებით. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება და ელექტრონულად დაგზავნილი კომპლექსური დავალების ბარათები, რაც ასევე იკითხება მშობელთა კრების ოქმებში, მასწავლებელთა მიერ მშობელთა კრებებზე დეტალურად მიწოდებული ინფორმაცია საგნის კურიკულუმის, სასკოლო პროექტის, შეფასების სისტემის, დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებისა და სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი;
სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
2 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

შემუშავებული კურიკულუმები
3 დაწყებითიო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
„მშობელთა ბარათები ;
დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი N4;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
საგნობრივი მეთოდოლოგის შემუშავების დოკუმენტი N12
4 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
„მშობელთა ბარათები
დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი
2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.
„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში;

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 დაწყებითი საფეხურის საგნების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და კომპლექსური დავალებების იდეები, ორიენტირებულია მოსწავლის წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებაზე. კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

ორიენტირებულად. მასწავლებლებს სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების იდეა და კურიკულუმის აგების პრინციპები. წარმოდგენილი აქვთ 2022-2023 წლის სკოლის სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა.
კომპლექსური დავალებების პირობები, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და სწავლის პროცესი განიხილება, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს. კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამომივიდა კარგად, რატომ? რა იყო ცოდნის ის გამოცდილება, რამაც წარმატება მომიტანა? ამ პროცესებს ადასტურებს მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიც.
მასწავლებლებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობაც, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება კომპლექსური დავალებების დამუშავება ( მაგ. ასაკობრივი ზღვარის შესაბამისი სახალისო დისკუსიები, თამაშის ელემენტები და სხვ.), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს. კათედრასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ იგი გეგმავს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვა საგანში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში, სასწავლო სასკოლო გეგმის პროექტში, მოსწავლეთა შეფასებისა (შეფასების რუბრიკების სხვადასხვა ნიმუშებში) და მასწავლებლების თვითრეფლექსიის (მასწავლებლის გასაუბრების მასალა) ამსახველ დოკუმენტებში აღიწერება გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად, გაზიარებულია შედეგები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. აღქმულია გლობალური ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია (ამ უნარების განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე არაფორმალური განათლების განვითარების ამსახველი მასალები, სხვადასხვა პროექტები), რომელთა შესრულების გამოცდილება და დაგეგმილ ნაწილში ახლის განხორციელების სურვილი აქვს სკოლას. აქედან გამომდინარე, იგრძნობა სკოლის მზაობა და გრძელვადიანი მიზნები კორელაციაშია დანერგვის ინსტრუმენტებთან (დაგეგმვა, შეფასება).
სკოლაში განხორციელებული პროექტები მოსწავლეზეა ორიენტირებული და საზოგადოებისათვის სრულყოფილი მოქალაქის ჩამოყალიბებას ემსახურება. ამ მიართულებით ისინი ჩართულნი არიან ETwinning-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში არაერთი პროექტი („ **Be Media Smart**", „ **Ethno Village +GET** " , "**Easter Traditions**") განხორციელებულა. მოპოვებული აქვთ პროგრამის ხარისხის ნიშანიც. ასევე სკოლის დაწყებითი კლასების ,ლიდერი მასწავლებლები" ჩართულნი არიან USEID--ის პროექტში, სადაც აქტიურად მოღვაწეობენ. კათედრაზე ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი ,,წიგნიერი", რომელიც შესაბამისი წესდებით წარმოადგინა სკოლამ. ფაქტია, რომ არაფორმალური განათლების მიმართულებით კათედრა ესგ–ს მიზნებსა და გლობალურ–ფუნქციურ უნარებს ეფექტურად ავითარებს მოსწავლეთა შორის. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტებას შესაძლებლობას იძლევა. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს. რაც ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შემუშავებული „ინტერვენციათა გეგმის" წარმოდგენილი მასალით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

დასტურდება. პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული თუ ინკლუზიური მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, ასევე გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში.

დავალება აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება, (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა.). ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა იყენებს ძირითადად განმავითარებელ შეფასებას (I-IV კლ), ხოლო განმსაზღვრელი შეფასება (V მეორესემესტრი და–VI კლ) აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის მიზნებთან მიმართებაში და იწერება ქულა, ხოლო განმავითარებელი შეფასება მიემართება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისკენ და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები, რომელიც არის საორიენტაციო სახის და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოარგოს სასწავლო პროცესში მოსწავლის შეფასებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და ზოგადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტტესტებსა თუ პრეტესტებს. თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა. სკოლა ასევე იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდიკურ ორიენტირებზე.

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტსა და საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს პროექტში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით კათედრა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. მაგალითისათვის მოსწავლის შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს Gipried- ული რუბრიკებისა და „სოლო“ ტაქსონომიის გამოყენების პრაქტიკა. რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 .სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ამდენად, სკოლას შექმნილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. ამ მიზნით კათედრაზე კვლავ იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება წელიწადში ორჯერ: სასწავლო წლის დასაწყისსა და ბოლოს. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის გასაუბრებაზე აღნიშნეს ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც განახორციელეს მიმდინარე სასწავლო წელს ეფექტიანობის გამო აღნიშნული კომპლექსურები გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმშიც. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში
2 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო ;
„მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმენის" დოკუმენტი;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმეი.
3 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში.
4 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმები.
5 კათედრის სხდომის ოქმი N4 მასწავლბელთა ანგარიშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

**1** კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. რაც მათ გამოცდილებაზე მიუთითებს.
მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური საწიროების მქონე მოსწავლეთათვის განსაზღვრული ინტერვენციათა გეგმა, დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, 2022–2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტებიი „ წიგნიერება“, „ ეტვინინგის“ აქტივობები – მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 დაწყებითის კათედრაზე სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. მათი ხედვით, ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. ასევე წინარე ცოდნას ეფუძნება საფეხურზე არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტის განხორციელების პრატიკა. (მაგ:ე ს გარემოებები აისახებოდა დამატებით წარმოდგენილ როგორც ჩვენი საქართველოს, ასევე მე და საზოგადოების საგნობრივ კურიკულუმში).

სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას მკაფიოდ არ ჩანს მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, თუმცა მასწავლებელთა მიერ ინტერვიუს დროს დაინიცირებულ მოსწავლის და მასწავლებლის თვითრეფლექსიის ნიმუშში მოაზრებულია შეკითხვები, რომლებიც დააფიქრებს მოსწავლეებს თვითრეფლექსიაზე, თვითცნობიერებაზე, სოციალურ ცნობიერებაზე, ურთიერთობის უნარებზე, პასუხისმგებლობა -გადაწყვეტილებებზე. არაფორმალური განათლების განვითარების ფარგლებში შესრულებული სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების გეგმა კი ხელს შეუწყობს მოსწავლის სოციო- ემოციური სფეროს განვითარებას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. მასზე დაფუძნებით მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის-სწავლას, რომ შეძლონ მთავარისა და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ამოცნობა, დანაწევრებული მასალის გამთლიანება, დამოუკიდებლად საკუთარი შეცდომების აღმოჩენა და აღიარება, ემოციების კონტროლი, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და მიღებული ცოდნის სხვისთვის გაზიარებას. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც დადასტურდა სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. ისინი კათედრაზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისათვის. რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად,განმავითარებელი შეფასება ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავაზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას და სწავლა-სწავლების პროცესში წარმოადგენს მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აქედან გამომდინარე სკოლა იცნობს შედეგების მიღწევის ხუთ დონეს, სავარაუდოდ ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიულიდან პირობისეულ ცოდნამდე. მოსწავლის თვითშეფასების ანგარიშის ნიმუშში, წარმოდგენილია ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი და მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარი. სკოლა შეფასების აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს დიფერენცირებას ( კომპლექსური დავალებების აგების იდეაში) და მოსწავლის დიაგნოსტირების განვითარების ყველა სფეროს მიხედვით. აქედან გამომდინარე, შეფასების სისტემა მომავალ სასწავლო წელს, ორიენტირებული იქნება, მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ეს ყოველივე კი ეფექტურად დაიძლევა კომპლექსური დავალებების განხორციელების გზით, რაც კათედრას საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოთი აქვს განსაზღვრული და მისი პრაქტიკის ნაწილია. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 დაწყებითების კათედრა სწავლებისას აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კათედრაზე ხელს უწყობს დაგეგმილი და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ საგანთა ურთიერთკავშირზე. ყოველი განსაზღვრული თემა არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, იგი ასევე უზრუნველყოფს სასწავლი მასალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

________________________

კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან; მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მაგალითად: ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ასახულია ჩარჩოში მოცემული შესადარებელი მაგალითებით, ასევე რამდენიმე დამატებითი რესურსიც იძლევა სასწავლო პროცესის ამ მიმართულებით წარმართვას, რაც გამოყენებული აქვს მასწავლებელს მე და საზოგადოების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 შემუშავებული კურიკულუმები;
 კომპლექსური დავალებების ბარათები;
 2022–2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
 დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი N4
2 დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
3 შემუშავებული კურიკულუმები .
4 სასკოლო სასწავლო გეგმა;
 საგნობრივი კურიკულუმები.
5 კურიკულუმის ჩარჩო.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, რაც მკაფიოა გასიტყვებისას და მასში კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. აღნიშნულის რეალიზების საფუძველი გახლავთ ის, რომ სკოლა 2019 სასწავლო წლიდან ჩართულია პროექტ ,,ახალი სკოლის მოდელში". შესაბამისად, სკოლა საუბრობს მასწავლებლების მიერ ჩაწერილი ვიდეო, „თუთორიალების" შესახებ, რომლის საშუალებითაც მოსწავლეების მიერ მიღწეული იქნა დასახული მიზნები. 2022–2023 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში კვლავ გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, რომლებიც ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს.
საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებებით ყველა საგანში არ ხდება, თუმცა გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ ხედვა, თუ როგორ დაამუშავონ კომპლექსურს მიღმა დარჩენილი სამიზნე ცნებები. ამისათვის ისინი გამოიყენებენ სხვადასხვა სახის დავალებებს, მათ შორის შემაჯამებელს, რაც ცხადყოფს, რომ მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზეა მორგებული შესასწავლი საკითხები და ქვეცნებების დაჯგუფება ქვესაკითხებთან კომპლექსურ დავალებაში აისახება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. კათედრის მიერ განსაზღვრული კომლექსური დავალების შესრულებით იქმნება შესაძლებლობა მოსწავლეებს დაეხმარონ გამოავლინონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო გუნდური მუშაობით კი მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას უწყობენ ხელს. ასევე მოსწავლეებში უზრუნველყოფენ გაუმკლავდნენ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პატივი სცენ სხვების აზრს და მართონ საკუთარი ემოციები. განვითრების სტადიებზე მოსწავლე აცნობიერებს , „მე" კონცეფციას, უმაღლდება თვითშეფასება, თვითგამოხატვა და ადაპტაციური სოციალური ქცევა. აღნიშნულის განვითარებას ხელს უწყობს სკოლაში, არაფორმალური განათლება და პროექტული სწავლება. სასწავლო პროექტები ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ზემოთ აღნიშნული უნარების, ხოლო კათედრის მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში მოცემულია ძირითადი საკითხები, რომელიც კომპლექსური დავალების სახით მუშავდება, რომლის ფარგლებშც ქმნიან პროდუქტს, მაგალითად: ბუკლეტებს; ანიმაციის და თამაშის შექმნა პროგრამაში scratch. მე-6 კლასში ერთ-ერთი კომპლექსური დავალების დროს მოსწავლეებმა Excell-ში შეიტანეს მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია და ამ მონაცემებზე დაყრდნობით ააგეს ორი დიაგრამა.
ჩატარებული კლასის საათებიც და კლასის საათის დროს განხილული თემებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი ეხება სწორედ ემპათიის, ბულინგის, ჯანსაღი ცხოვრების საკითხებს, რაც მოსწავლის პიროვნული და ფსიქო–სოციალური განვიტარების საფუძველია. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ამიტომაც შეფასების სისტემა განმსაზღვრელთან ერთად განმავითარებელი შეფასებითაც აისახება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აძლევს მიმართულებას და ასწავლის გზებს შემდგომი წინსვლისათვის. ასევე შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, განმავითარებელი შეფასებისათვის სკოლა ასევე იყენებდა საკლასო აქტივობების შეფასებასაც, სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში იკითხება რომ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა იქნება შესაბამისობაში ესგ-სთან, შეიქმნება კათედრების წევრების თანამშრომლობით კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილი სასკოლო საზოგადოებისათვის.შესაბამისად შეფასების შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრაზე ფიქრობენ, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიმართ, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მშობლები, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა იქნება შესაბამისობაში ესგ-სთან, შეიქმნება კათედრების წევრების თანამშრომლობით კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილი სასკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 როგორც საერთოდ სკოლა, ისე დაწყებითების კათედრა ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რაც გაკვეთილზე დასწრებით დიაგნოსტიკური ტესტირებით, მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებით განისაზღვრება. იგი ეფუძნება, სანდოობის, სამართლიანობის , ობიექტურობის პრინციპებს და მოიცავს პროცედურებს:
სინამდვილის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა;
შეფასების შემოწმების პროცედურა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

სტანდარტის შედარება ფაქტებსა და რეალურ ვითარებასთან.
სკოლის მიერ წარმოდენილი დოკუმენტი ,,შეფასების ვერიფიკიაციის მექანიზმი’’ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე მოსწავლის შეფასების მიზნით მოსწავლის მიღწევების შეფასების წესს და მექანიზმს .ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

6 სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს, სემესტრული და წლიური შეფასების ფორმების, სასკოლო საზოგადოების პირადი საქმეების დამუშავებასა და შენახვას. რომელიც სათანადოდ აღირიცხება და ინახება კანონის შესაბამისად. .ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღჭურვასა და შენახვას, არანაკლებ 3 წლის ვადითკანონმდებლობის სრული დაცვით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 კურიკულუმი ;
სკოლის განვითარების გეგმა.
2 სკოლის განვითარების გეგმა;
კურიკულუმი.
3 რომ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა;
კურიკულუმი.
4 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმა;
სკოლის განვითარების გეგმა.
5 ,,შეფასების ვერიფიკიაციის მექანიზმი’’(პროექტი);
6 შეფასების ფორმები; ‘
„შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი“ (პროექტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, სკოლის პრიორიტეტები და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია საათობრივ ბადეში, მოსწავლეებს აქვთ საგნების არჩევის შესაძლებლობა. საგნობრივი პროგრამები იძლევა მოსწავლეთა პიროვნული ზრდის შესაძლებლობას. კათედრაზე შემუშავებულია ინდ. სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის. კათედრაზე,მოსწავლეებთან და მშობლებთან შექმნილია პოზიტიური, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ამის საილუსტრაციოდ ისინი ასახელებენ არაფორმოლური პროექტებს. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები და ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბების დროს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 როგორც გამოგზავნილი მტკიცებულებებით და გასაუბრების მასალებით დგინდება, სკოლაში ხშირად სწავლა-სწავლების პროცესები ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებების აგებით, რომლებიც ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა ჩანს, რომ მოსწავლე თვითონ არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. სკოლა სწავლების პროცესში იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, მასალებში ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება დიფერენცირებული სწავლების, განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია ჰოლისტური განათლების შესაძლებლობაზე. აქედან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო, აგრეთვე სხვასასხვა სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტვოვობები და მასალები, მომავალი წლისათვის მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების სქემები, კრიტიკული მეგობრის გამოცდილებები. გარდა ამისა ინტერვიუში მასწავლებლები ხსნიან, თუ როგორ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც იმის დამადასტურებელია, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და აქტიურ კომუნიკაციას. გასაუბრების დროსაც აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

მიმართულებაა. სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კოლეგები ყოველდღიურ შეხვედრებზე, კათედრის სხომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, ხდება მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მოწყობა. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტში, კომპლექსურად ასახულია (სასკოლო ბაზასთან სინთეზში) მრავალი აქტივობა ,მათ შორის სასწავლო თუ სოციალური პროექტის განხორციელების გეგმა, წახალისების მექანიზმები, წარმოდგენილი მტკიცებულებები ნაწილობრივ ასახავს სხვადასხვა პროექტების განხორციელების შედეგებს, წახალისებულ ინიციატივებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. გასაუბრებიდან გამომდინარე, ჩანს რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეებისათვის პოზიტიური გარემოს შექმნისთვის: ტარდება სპორტული საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, მოსწავლეებმა წინასწარ იციან განსახორციელებელი ფესტივალების დრო და შინაარსი, თემები შერჩეულია მათთან შეთანხმებით. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა.
3 ხარისხის ჯგუფის შეფასება;
კურიკულუმების ჩარჩო.
4 სკოლის 7 წლიანი განვითარების გეგმა;
შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

________________________

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1 მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრებიდან გამოითხოვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ანალიზების ფორმებს, ხდება შეჯერება და გაანალიზება, ხოლო შემდეგ,მასწავლებელთა მიერ წარმოებული შუალედური მონიტორინგის შედეგების რევიზიით, ადგენენ ემთხვევა თუ არა მათ მიერ წარმოდგენილი შეფასებები მეთოდოლოგიაში გაწერილ შედეგებს. თუ არ დაემთხვევა, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე,მართალია ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელმაც უნდა გამოკვეთოს მონაცემთა მიზნობრიობა, მონიტორინგის შედეგები როგორ აისახება კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში, მაგრამ გამოხატავს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას აქვს მზაობა რომ სამომავლოდ მოხდეს მონიტორინგის სისტემის გაწერა, დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული პრაქტიკა გაზიარდება სკოლის ყველა კათედრაზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_______________________

2 მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ კათედრის თითიეული წევრი კათედრის თავჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, შესაბამისად რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე.
დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

3 სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.
სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც მასწავლებლებს ეძლევათ უკუკავშირი. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებასაც.
კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ჩანს, რომ მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში ახდენენ ,, სვოტ ანალიზს'', რა იყო ძლიერი და სუსტი მხარე, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებულიშესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის და შემდეგ ცვლილებებს ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. სკოლამ გამოხატა მზაობა, სამომავლოდ, მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამას ისინი განახორციელებენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ( ინსრტუმენტი 1) ინსტრუმენტის გამოყენებით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

2 კათედრის სხდომის ოქმი:N4;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი
3 სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, შეფასების ჰოლისტურ სისტემას: კითხვარებს, ინტერვიუებს, თვითშეფასებას და სხვ. გათვალსიწინებულია შემდეგი შეფასების ინსტრუმენტები: კვლევა, დაკვირვება, ინტერვიუ, SWOT ანალიზი.
მოსწავლეების შეფასება ხდება მუშა პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას.
გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები/ინსტრუმენტები და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. რომ იყენებენ მოსწავლეთა შეფასების სისტემურ მიდგომას, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს სხვადასხვა წყაროსა და რესურსებს, ნიმუშად წარმოადგინეს მომავალი სასწავლო წლის სავარაუდო სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. მათ აქვთ მზაობ,ა შეფასებებისას დაეყრდნონ მრავალფეროვან წყაროებს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის დაწყებითი საფეხურის კათედრა თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის, რაც გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მოიყვანეს საინტერესო მაგალითები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში კორიკულუმის ჩარჩოს ნაწილშიც აისახება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაწილში გაწერილია, თუ როგორ ხორციელდება სასწავლო სასკოლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; რა წყაროებით ხდება დანერგვის შესახებ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი შეფასებას კონკრეტული მიზნით (შედეგების დიაგოსტირება, ანდა შედეგების გაუმჯობესება) გამოიყენებენ და შეფასების დაგეგმვისას იხელმძღვანელებენ სასწავლო სასკოლო გეგმის მიხედვით. შეფასების ვალიდურობისა და გამჭირვალობის მისაღებად ისინი იყენებენ კვლევებს და ყველაზე ხშირად იყენებენ ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ექსპერიმენტს, მეორად კვლევებს და სხვა. ექსპერიმენტის შესრულების პროცესები, მატერიალურ-ტექნიკური პრობლემების გამო, დაწყებით საფეხურზე ვერ ხორციელდება, თუმცა მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიასა და კვლებისათვის საჭირო სხვადასხვა რესურსებს, რომლებიც მათი ხელითაა შექმნილი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს- ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (პროექტი) ;
2 კურიკულუმი მე-3 კლასი ბუნებისმეტყველებაში;
3 კურიკულუმის სემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 ყოველი სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. ეს ციკლი სკოლას გაწერილი აქვს სკოლის წლიურ სამოქმედო გეგმაში.
კათედრებზე სისტემატურად ეწყობა და მოეწყობა შეხვედრები, სადაც დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რის შემდეგაც ხდება გაანალიზება რა გამოცდილება დაგროვდა სასწავლო წლის მანძლზე, როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის, რა უნდა გაითვალისწინონ ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის დონეზე. ეს ყველაფერი ხდება ზეპირი შეჯამების საფუძველზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 რაც შეეხება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, სკოლა გეგმავს (სკოლის განვითარების გეგმა ადასტურებს), ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან იმუშაოს დაწყებითი საფეხურისთვის მათ მიერ შედგენილი და გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის გადახედვა და ანალიზი განხორციელდება ეტაპობრივად. მათ გამოთქვა მზაობა ამ პროცესისათვის.
ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია ფურცელზე დაწერილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის, რომ ზოგჯერ საჭირო ხდება კურიკულუმის ნაწილის ანდა მთლიანი კურიკულუმის შეცვლა, ზოგჯერ აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისათვის დროს ამატებენ, ცვლიან რესურსებს, თუმცა ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო აქვთ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ კურიკულუმის დანერგვისა და მოდიფიცირების პროცესები და სრულად გამოხატავენ მზაობას ამ მიმართულებით.ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

________________________

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება/ *საბაზო საფეხური*

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

| სტანდარტი 2<br><br>სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*შეესაბამება<br><br>☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2 კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3 კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4 კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 .სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლაში მოქმედებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. იგი გაწერილი და წარმოდგენილია 2023–2024 სასწავლო წლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" .სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სასწავლო მიზნები, განმსაზღვრელი შეფასება, განმავითარებელი შეფასება და სადიაგნოსტიკო შეფასება სკოლის დონეზე. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, რაც ასევე მკაფიოდ იკითხება 2022–2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მიერ შექმნილი და განხორციელებული ღონისძიებები თუ მექანიზმები –კურიკულუმები (მატრიცების/შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებები); წლიური პროგრამების შემუშავება/განხორციელების დოკუმენტი; მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლის მიერ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურებების შეთავაზებები; მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა, მისი ანალიზი და ანალიზის შედეგები; თანმდევი ღონისძიებების განხორციელება; საგნობრივი კათედრების მიერ შესაბამისი მიმართულებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა საკითხების განხილვა კათედრების მიერ; შემაჯამებელი დავალებების ანალიზის აქტივობათა შემუშავება; ასევე საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებაში – სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება. აქვე აღსანიშნია, რომ კათედრის თანმჯდომარის მიერ წარმოდგენილ სხდომის ოქმებში, სადაც ხაზგასმითაა მასწავლებელთა მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებების შესრულების ანგარიში, ასევე მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო სასწავლო პროეტები და მშობელთა ჩართულობის ამსახველი აქტივობები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ისევე როგორც ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

2 სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ საბაზო საფეხურის მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ამოიცნობა, რომლებსაც თან ახლავს კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების ბარათები, შეფასების რუბრიკები და სხვა. ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. საბაზო საფეხურზე სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა სკოლაში ფუნქციონირებული კლუბების საშუალებით, როგორიცაა ,,წიგნიერება“.

კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა სკოლაში ფუნქციონირებული კლუბებისა და წრეების საშუალებით, როგორებიცაა ,,წიგნიერება“.

3 სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას“ დოკუმენტში, საგნობრივი მეთოდოლოგიის შემუშავების პროექტსა (ე.წ. N12 დოკუმენტი) და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად, პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით კათედრას აქვს მშობლებთან ურთიერთობის საფუძველზე მათი ინტერესების გათვალისწინების გამოცდილება, რაც „მშობლის ბარათის“ გამოყენების პრაქტიკით დასტურდება. სკოლასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესისა და საჭიროების გათვალისწინებით კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში კანონზე დაფუძნებით მონაწილეობს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სრულყოფილ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სწავლა სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად იგეგმება კვლევის ჩატარება ძლიერი და გასავითარებელი მხარის გამოსაკვეთად.

4 სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მონახაზი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო.
საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი, ამ ეტაპზე, გაზიარებულია მასწავლებელთათვის. აქვე იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეულია შეფასების პირველი მოდელი. რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმებითა და საგნობრივი კათედრის ოქმების საშუალებით. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება და ელექტრონულად დაგზავნილი კომპლექსური დავალების ბარათები, რაც ასევე იკითხება მშობელთა კრების ოქმებში მასწავლებელთა მიერ მშობელთა კრებებზე დეტალურად მიწოდებული ინფორმაცია საგნის კურიკულუმის, სასკოლო პროექტის, შეფასების სისტემის, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისა და სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ.

დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, მასწავლებლები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიურონ მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამების ნიმუშები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და როგორც ჩანს, სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ინდიკატორი არ არის დარრვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი;
2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;
2 საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი;
2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.
„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;
3 საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.;
„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;
4 „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;
საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-------------------------

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1 შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2 კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5 დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. VII, VIII და IX კლასების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები/თემატური ბლოკები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა, მაშინ, როდესაც კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობაც, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება კომპლექსური დავალებების დამუშავება ( მაგ. ასაკობრივი ზღვარის შესაბამისი სახალისო დისკუსიები, თამაშის ელემენტები და სხვ.), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს. კათედრასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ ისინი გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვა საგანში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში, სასწავლო სასკოლო გეგმის პროექტში, მოსწავლეთა შეფასებისა (შეფასების რუბრიკების სხვადასხვა ნიმუშებში) და მასწავლებლების თვითრეფლექსიის (მასწავლებლის გასაუბრების მასალა) ამსახველ დოკუმენტებში აღიწერება გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად, გაზიარებულია შედეგები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. აღქმულია გლობალური ფუნქციური უნარები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია (ამ უნარების განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე არაფორმალური განათლების განვითარების ამსახველი მასალები, სხვადასხვა პროექტები), რომელთა შესრულების გამოცდილება და დაგეგმილ ნაწილში ახლის განხორციელების სურვილი აქვს სკოლას. აქედან გამომდინარე, იგრძნობა სკოლის მზაობა და გრძელვადიანი მიზნები კორელაციაშია დანერგვის ინსტრუმენტებთან (დაგეგმვა, შეფასება).
სკოლაში განხორციელებული პროექტები მოსწავლეზეა ორიენტირებული და საზოგადოებისათვის სრულყოფილი მოქალაქის ჩამოყალიბებას ემსახურება. ამ მიართულებით ისინი ჩართულნი არიან ETwinning-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში არაერთი პროექტი („ Be Media Smart", „ Ethno Village +GET " , "Easter Traditions") განხორციელებულა. მოპოვებული აქვთ პროგრამის ხარისხის ნიშანიც. ასევე სკოლის საბაზო კლასების „ლიდერი მასწავლებლები" ჩართულნი არიან USEID--ის პროექტში, სადაც აქტიურად მოღვაწეობენ. კათედრაზე ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი ,,წიგნიერი", რომელიც შესაბამისი წესდებით წარმოადგინა სკოლამ. ფაქტია, რომ არაფორმალური განათლების მიმართულებით კათედრა ესგ–ს მიზნებსა და გლობალურ–ფუნქციურ უნარებს ეფექტურად ავითარებს მოსწავლეთა შორის. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტებას შესაძლებლობას იძლევა. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს. რაც ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შემუშავებული „ინტერვენციათა გეგმის" წარმოდგენილი მასალით დასტურდება. პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული თუ ინკლუზიური მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, ასევე გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში.
დავალება აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება, (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა.). ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 საბაზო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ,ისე განმავითარებელ შეფასებას, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის მიზნებთან მიმართებაში და იწერება ქულა, ხოლო განმავითარებელი შეფასება მიემართება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისკენ და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები, რომელიც არის საორიენტაციო სახის და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოარგოს სასწავლო პროცესში მოსწავლის შეფასებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და ზოგადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტტესტებსა თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

პრეტესტებს; თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, სქემებს და სხვა. სკოლა ასევე იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდიკურ ორიენტირებზე.

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტსა და საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს პროექტში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით კათედრა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მაგალითისათვის: (ქართული ენა და ლიტერატურა) მოსწავლის შეფასების მექანიზმად კათედრას წარმოდგენილი აქვს "გმირის დახასიაების", „დისკუსიის", „გმირის ქცევის" „პრეზენტაციის" „განმარტებითი ჩარჩოს" შეფასების რუბრიკები და „სოლო" ტაქსონომიის გამოყენების პრაქტიკა. რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 .სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ამდენად, სკოლას შექმნილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. ამ მიზნით კათედრაზე კვლავ იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება წელიწადში ორჯერ: სასწავლო წლის დასაწყისსა და ბოლოს. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგებს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის გასაუბრებაზე აღნიშნეს ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც განახორციელეს მიმდინარე სასწავლო წელს ეფექტიანობის გამო აღნიშნული კომპლექსურები გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმშიც. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში
2 საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო ;
„მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმენის“ დოკუმენტი;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმეი.
3 საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში.
4 ინდ ჯგუფის სხდომის ოქმები.
5 „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

1 სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2 ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3 სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4 სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5 სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1** კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. რაც მათ გამოცდილებაზე მიუთითებს.
მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განსაზღვრული ინტერვენციათა გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, 2022–2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები „წიგნიერება“, „ეტვინინგის“ აქტივობები – მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 საბაზო საფეხურზე სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. მათი ხედვით, ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. ასევე წინარე ცოდნას ეფუძნება საფეხურზე არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტის განხორციელების პრატიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას მკაფიოდ არ ჩანს მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, თუმცა მასწავლებელთა მიერ ინტერვიუს დროს დაინიცირებულ მოსწავლის და მასწავლებლის თვითრეფლექსიის ნიმუშში მოაზრებულია შეკითხვები, რომლებიც დააფიქრებს მოსწავლეებს თვითრეფლექსიაზე, თვითცნობიერებაზე, სოციალურ ცნობიერებაზე, ურთიერთობის უნარებზე, პასუხისმგებლობა -გადაწყვეტილებებზე. არაფორმალური განათლების განვითარების ფარგლებში შესრულებული სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების გეგმა კი ხელს შეუწყობს მოსწავლის სოციო- ემოციური სფეროს განვითარებას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. (აღნიშნული ცნობილია მასწავლებელთან გასაუბრების შედეგადაც). წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს.
სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც დადასტურდა სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. ისინი კათედრაზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს, როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასებისათვის. სკოლა შეფასების აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს დიფერენცირებას (კომპლექსური დავალებების აგების იდეაში) და მოსწავლის დიაგნოსტირების განვითარების ყველა სფეროს მიხედვით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ეს ყოველივე კი ეფექტურად დაიძლევა კომპლექსური დავალებების განხორციელების გზით, რაც კათედრას საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოთი აქვს განსაზღვრული და მისი პრაქტიკის ნაწილია. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 კათედრა სწავლებისას აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კათედრაზე ხელს უწყობს დაგეგმილი და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ საგანთა ურთიერთკავშირზე. ყოველი განსაზღვრული თემა არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, იგი ასევე უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან; მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მაგალითად: ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ასახულია ჩარჩოში მოცემული შესადარებელი მაგალითებით, ასევე რამდენიმე დამატებითი რესურსიც იძლევა სასწავლო პროცესის ამ მიმართულებით წარმართვას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 შემუშავებული კურიკულუმები;
კომპლექსური დავალებების ბარათები;
2022–2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
2 საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
3 შემუშავებული კურიკულუმები .
4 სასკოლო სასწავლო გეგმა;
საგნობრივი კურიკულუმები.
5 კურიკულუმის ჩარჩო.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2 საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3 შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4 შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5 სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6 სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, რაც მკაფიოა გასიტყვებისას და მასში კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. 2022–2023 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში კვლავ გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, რომლებიც ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს.
საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებებით ყველა საგანში არ ხდება, თუმცა გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ ხედვა, თუ როგორ დაამუშავონ კომპლექსურს მიმღმა დარჩენილი სამიზნე ცნებები. ამისათვის ისინი გამოიყენებენ სხვადასხვა სახის დავალებებს, მათ შორის შემაჯამებელს, რაც ცხადყოფს, რომ მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზეა მორგებული შესასწავლი საკითხები და ქვეცნებების დაჯგუფება ქვესაკითხებთან კომპლექსურ დავალებაში აისახება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. კათედრის მიერ განსაზღვრული კომლექსური დავალების შესრულებით იქმნება შესაძლებლობა მოსწავლეებს დაეხმარონ გამოავლინონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო გუნდური მუშაობით კი მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას უწყობენ ხელს. ასევე მოსწავლეებში უზრუნველყოფენ გაუმკლავდნენ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პატივი სცენ სხვების აზრს და მართონ საკუთარი ემოციები. აღნიშნულის განვითარებას ხელს უწყობს სკოლაში, არაფორმალური განათლება და პროექტული სწავლება. სასწავლო პროექტები ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ზემოთ აღნიშნული უნარების, ხოლო კათედრის მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში მოცემულია ძირითადი საკითხები, რომელიც კომპლექსური დავალების სახით მუშავდება, რომლის ფარგლებშც ქმნიან პროდუქტს.
ჩატარებული კლასის საათებიც და კლასის საათის დროს განხილული თემებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი ეხება სწორედ ემპათიის, ბულინგის, ჯანსაღი ცხოვრების საკითხებს, რაც მოსწავლის პიროვნული და ფსიქო–სოციალური განვითარების საფუძველია. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ამიტომაც შეფასების სისტემა განმსაზღვრელთან ერთად განმავითარებელი შეფასებითაც აისახება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აძლევს მიმართულებას და ასწავლის გზებს შემდგომი წინსვლისათვის. ასევე შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, განმავითარებელი შეფასებისათვის სკოლა ასევე იყენებდა საკლასო აქტივობების შეფასებასაც, სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში იკითხება რომ 2023-2024 სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

წლის სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა იქნება შესაბამისობაში ესგ-სთან, შეიქმნება კათედრების წევრების თანამშრომლობით კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილი სასკოლო საზოგადოებისათვის.შესაბამისად შეფასების შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრაზე ფიქრობენ, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიმართ, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მშობლები, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა იქნება შესაბამისობაში ესგ-სთან, შეიქმნება კათედრების წევრების თანამშრომლობით კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილი სასკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 ყველა საფეხურის საგნის მასწავლებლები შეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას ეყრდნობიან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რაც გაკვეთილზე დასწრებით დიაგნოსტიკური ტესტირებით, მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებით განისაზღვრება. იგი ეფუძნება, სანდოობის, სამართლიანობის, ობიექტურობის პრინციპებს და მოიცავს პროცედურებს:

- სინამდვილის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა;
- შეფასების შემოწმების პროცედურა;
- სტანდარტის შედარება ფაქტებსა და რეალურ ვითარებასთან.

სკოლის მიერ წარმოდენილი დოკუმენტი ,,შეფასების ვერიფიკიაციის მექანიზმი’’ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე მოსწავლის შეფასების მიზნით მოსწავლის მიღწევების შეფასების წესს და მექანიზმს .ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

6 სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს, სემესტრული და წლიური შეფასების ფორმების, სასკოლო საზოგადოების პირადი საქმეების დამუშავებასა და შენახვას. რომელიც სათანადოდ აღირიცხება და ინახება კანონის

შესაბამისად. .ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღჭურვასა და შენახვას, არანაკლებ 3 წლის ვადითკანონმდებლობის სრული დაცვით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 კურიკულუმი ;
სკოლის განვითარების გეგმა.
2 სკოლის განვითარების გეგმა;
კურიკულუმი.
3 რომ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა;
კურიკულუმი.
4 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმა;
სკოლის განვითარების გეგმა.
5 ,,შეფასების ვერიფიკიაციის მექანიზმი’’(პროექტი);
6 შეფასების ფორმები; ‘
„შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი“ (პროექტი)

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

1 სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, სკოლის პრიორიტეტები და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია საათობრივ ბადეში, მოსწავლეებს აქვთ საგნების არჩევის შესაძლებლობა. საგნობრივი პროგრამები იძლევა მოსწავლეთა პიროვნული ზრდის შესაძლებლობას. კათედრაზე შემუშავებულია ინდ. სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის. კათედრაზე,მოსწავლეებთან და მშობლებთან შექმნილია პოზიტიური, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ამის საილუსტრაციოდ ისინი ასახელებენ არაფორმოლური პროექტებს. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები და ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბების დროს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 როგორც გამოგზავნილი მტკიცებულებებით და გასაუბრების მასალებით დგინდება, სკოლაში სამივე საფეხურზე ხშირად სწავლა-სწავლების პროცესები ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებების აგებით, რომლებიც ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა ჩანს, რომ მოსწავლე თვითონ არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. სკოლა სწავლების პროცესში იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, მასალებში ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება დიფერენცირებული სწავლების, განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია ჰოლისტური განათლების შესაძლებლობაზე. აქედან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო, აგრეთვე სხვასასხვა სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტვოვობები და მასალები, მომავალი წლისათვის მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების სქემები, კრიტიკული მეგობრის გამოცდილებები. გარდა ამისა ინტერვიუში მასწავლებლები ხსნიან, თუ როგორ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც იმის დამადასტურებელია, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და აქტიურ კომუნიკაციას. გასაუბრების დროსაც აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კოლეგები ყოველდღიურ შეხვედრებზე, კათედრის სხომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, ხდება მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მოწყობა. სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტში, კომპლექსურად ასახულია (სასკოლო ბაზასთან სინთეზში) მრავალი აქტივობა, მათ შორის სასწავლო თუ სოციალური პროექტის განხორციელების გეგმა, წახალისების მექანიზმები, წარმოდგენილი მტკიცებულებები ნაწილობრივ ასახავს სხვადასხვა პროექტების განხორციელების შედეგებს, წახალისებულ ინიციატივებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. გასაუბრებიდან გამომდინარე, ჩანს რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეებისათვის პოზიტიური გარემოს შექმნისთვის: ტარდება სპორტული საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, მოსწავლეებმა წინასწარ იციან განსახორციელებელი ფესტივალების დრო და შინაარსი, თემები შერჩეულია მათთან შეთანხმებით. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა.
3 ხარისხის ჯგუფის შეფასება;
კურიკულუმების ჩარჩო.
4 სკოლის 7 წლიანი განვითარების გეგმა;
შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1 მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2 მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3 მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრებიდან გამოითხოვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ანალიზების ფორმებს, ხდება შეჯერება და გაანალიზება, ხოლო შემდეგ,მასწავლებელთა მიერ წარმოებული შუალედური მონიტორინგის შედეგების რევიზიით, ადგენენ ემთხვევა თუ არა მათ მიერ წარმოდგენილი შეფასებები მეთოდოლოგიაში გაწერილ შედეგებს. თუ არ დაემთხვევა, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მართალია ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელმაც უნდა გამოკვეთოს მონაცემთა მიზნობრიობა, მონიტორინგის შედეგები როგორ აისახება კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში, მაგრამ გამოხატავს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. აქვს იმის მზაობაც, რომ სამომავლოდ მოხდეს მონიტორინგის სისტემის გაწერა, დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული პრაქტიკა გაზიარდება სკოლის ყველა კათედრაზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ კათედრის თითიეული წევრი კათედრის თავჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, შესაბამისად რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე.
საბზო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

3 სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.

სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც მასწავლებლებს ეძლევათ უკუკავშირი. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებასაც. კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ჩანს, რომ მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში ახდენენ ,, სვოტ ანალიზს'', რა იყო ძლიერი და სუსტი მხარე, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის და შემდეგ ცვლილებებს ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. სკოლამ გამოხატა მზაობა, სამომავლოდ, მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამას ისინი განახორციელებენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ( ინსრტუმენტი 1) ინსტრუმენტის გამოყენებით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

2 კათედრის სხდომის ოქმი:N4;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი

3 სასკოლო სასწავლო გეგმა;

## 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1 შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2 შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3 შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4 შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

1 სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, შეფასების ჰოლისტურ სისტემას: კითხვარებს, ინტერვიუებს, თვითშეფასებას და სხვ. გათვალსიწინებულია შემდეგი შეფასების ინსტრუმენტები: კვლევა, დაკვირვება, ინტერვიუ, SWOT ანალიზი. მოსწავლეების შეფასება ხდება მუშა პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები/ინსტრუმენტები და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. რომ იყენებენ მოსწავლეთა შეფასების სისტემურ მიდგომას, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს სხვადასხვა წყაროსა და რესურსებს, ნიმუშად წარმოადგინეს მომავალი სასწავლო წლის სავარაუდო სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. მათ აქვთ მზაობ,ა შეფასებებისას დაეყრდნონ მრავალფეროვან წყაროებს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდნეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის კათედრა თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის, რაც გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მოიყვანეს საინტერესო მაგალითები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში კორიკულუმის ჩარჩოს ნაწილშიც აისახება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაწილში გაწერილია, თუ როგორ ხორციელდება სასწავლო სასკოლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; რა წყაროებით ხდება დანერგვის შესახებ, პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი შეფასებას კონკრეტული მიზნით (შედეგების დიაგოსტირება, ანდა შედეგების გაუმჯობესება) გამოიყენებენ და შეფასების დაგეგმვისას იხელმძღვანელებენ სასწავლო სასკოლო გეგმის მიხედვით. შეფასების ვალიდურობისა და გამჭირვალობის მისაღებად ისინი იყენებენ კვლევებს და ყველაზე ხშირად იყენებენ ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ექსპერიმენტს, მეორად კვლევებს და ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს- ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1 შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (პროექტი) ;
2 საგნობრივი კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

3 კურიკულუმის სემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1 იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2 კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 ყოველი სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. ეს ციკლი სკოლას გაწერილი აქვს სკოლის წლიურ სამოქმედო გეგმაში.
კათედრებზე სისტემატურად ეწყობა და მოეწყობა შეხვედრები, სადაც დაგეგემვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რის შემდეგაც ხდება გააანალიზება რა გამოცდილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

დაგროვდა სასწავლო წლის მანძლზე, როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის, რა უნდა გაითვალისწინონ ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის დონეზე. ეს ყველაფერი ხდება ზეპირი შეჯამების საფუძველზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 რაც შეეხება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, სკოლა გეგმავს (სკოლის განვითარების გეგმა ადასტურებს), ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან იმუშაოს საბაზო საფეხურისთვის მათ მიერ შედგენილი და გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის გადახედვა და ანალიზი განხორციელდება ეტაპობრივად. მათ გამოთქვა მზაობა ამ პროცესისათვის.
ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია ფურცელზე დაწერილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის, რომ ზოგჯერ საჭირო ხდება კურიკულუმის ნაწილის ანდა მთლიანი კურიკულუმის შეცვლა, ზოგჯერ აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისათვის დროს ამატებენ, ცვლიან რესურსებს, თუმცა ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო აქვთ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ კურიკულუმის დანერგვისა და მოდიფიცირების პროცესები და სრულად გამოხატავენ მზაობას ამ მიმართულებით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

7 სკოლის წლიურ სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

| სტანდარტი 2<br><br>სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*<br>■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება/ *საშუალო საფეხური*

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2 კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3 კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4 კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მოკლე მონახაზი, სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპი, კერძოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განსაზღვრა კურიკულუმის შემუშავებაში. მათ შორის საშუალო საფეხურის კათედრის როლი და ფუნქციები. აღნიშნული დოკუმენტი სრულყოფილი გახდება სასწავლო წლის დასაწყისამდე. ამასვე ადასტურებს კათედრის სხდომის ოქმი და სკოლის სამოქმედო გეგმაც. სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სკოლის მიერ შექმნილი და განხორციელებული ღონისძიებები თუ მექანიზმები –კურიკულუმები (მატრიცების/შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებები); წლიური პროგრამების შემუშავება/განხორციელების დოკუმენტი; მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლის მიერ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურებების შეთავაზებები; მოსწავლეთა, მასწავლებელთა და

მშობელთა გამოკითხვა, მისი ანალიზი და ანალიზის შედეგები; თანმდევი ღონისძიებების განხორციელება; საგნობრივი კათედრების მიერ შესაბამისი მიმართულებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა საკითხების განხილვა კათედრების მიერ; შემაჯამებელი დავალებების ანალიზის აქტივობათა შემუშავება; ასევე საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებაში – სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება. აქვე აღსანიშნია, რომ კათედრის თანმჯდომარის მიერ წარმოდგენილ სხდომის ოქმებში, სადაც ხაზგასმითაა მასწავლებელთა მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებების შესრულების ანგარიში, ასევე მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო სასწავლო პროეტები და მშობელთა ჩართულობის ამსახველი აქტივობები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ისევე როგორც ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ საშუალო საფეხურის მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ამოიცნობა, რომლებსაც თან ახლავს კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების ბარათები, შეფასების რუბრიკები და სხვა. ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. საშუალო საფეხურზე სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა სკოლაში ფუნქციონირებული კლუბების საშუალებით, როგორიცაა ,,წიგნიერება“.

კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა სკოლაში ფუნქციონირებული კლუბებისა და წრეების საშუალებით, როგორებიცაა ,,წიგნიერება“.

3 სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას“ დოკუმენტში, საგნობრივი მეთოდოლოგიის შემუშავების პროექტსა (ე.წ. N12 დოკუმენტი) და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად, პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით კათედრას აქვს მშობლებთან ურთიერთობის საფუძველზე მათი ინტერესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

გათვალისწინების გამოცდილება, რაც „მშობლის ბარათის" გამოყენების პრაქტიკით დასტურდება. სკოლასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესისა და საჭიროების გათვალისწინებით კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში კანონზე დაფუძნებით მონაწილეობს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სრულყოფილ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სწავლა სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად იგეგმება კვლევის ჩატარება ძლიერი და გასავითარებელი მხარის გამოსაკვეთად.

4 სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მონახაზი, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო.
საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი, ამ ეტაპზე, გაზიარებულია მასწავლებელთათვის. აქვე იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეულია შეფასების პირველი მოდელი. რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმებითა და საგნობრივი კათედრის ოქმების საშუალებით. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება და ელექტრონულად დაგზავნილი კომპლექსური დავალების ბარათები, რაც ასევე იკითხება მშობელთა კრების ოქმებში მასწავლებელთა მიერ მშობელთა კრებებზე დეტალურად მიწოდებული ინფორმაცია საგნის კურიკულუმის, სასკოლო პროექტის, შეფასების სისტემის, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისა და სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ.

დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, მასწავლებლები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიურონ მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამების ნიმუშები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და როგორც ჩანს, სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
კათედრის სხდომის ოქმი;
2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი;
„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი;
2 საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.
„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;
3 საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.;
„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;
4 „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1 შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2 კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5 დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. X, XI, XII კლასების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები/თემატური ბლოკები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა, მაშინ, როდესაც კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობაც, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება კომპლექსური დავალებების დამუშავება, რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს. კათედრასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ ისინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვა საგანში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში, სასწავლო სასკოლო გეგმის პროექტში, მოსწავლეთა შეფასებისა (შეფასების რუბრიკების სხვადასხვა ნიმუშებში) და მასწავლებლების თვითრეფლექსიის (მასწავლებლის გასაუბრების მასალა) ამსახველ დოკუმენტებში აღიწერება გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად, გაზიარებულია შედეგები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. აღქმულია გლობალური ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია (ამ უნარების განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე არაფორმალური განათლების განვითარების ამსახველი მასალები, სხვადასხვა პროექტები), რომელთა შესრულების გამოცდილება და დაგეგმილ ნაწილში ახლის განხორციელების სურვილი აქვს სკოლას. აქედან გამომდინარე, იგრძნობა სკოლის მზაობა და გრძელვადიანი მიზნები კორელაციაშია დანერგვის ინსტრუმენტებთან (დაგეგმვა, შეფასება).
სკოლაში განხორციელებული პროექტები მოსწავლეზეა ორიენტირებული და საზოგადოებისათვის სრულყოფილი მოქალაქის ჩამოყალიბებას ემსახურება. ამ მიართულებით ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტებში, რაც გასაუბრებითაც დადგინდა.
ფაქტია, რომ არაფორმალური განათლების მიმართულებით კათედრა ესგ–ს მიზნებსა და გლობალურ–ფუნქციურ უნარებს ეფექტურად ავითარებს მოსწავლეთა შორის. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტებას შესაძლებლობას იძლევა. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს. რაც ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შემუშავებული „ინტერვენციათა გეგმის“ წარმოდგენილი მასალით დასტურდება. პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული თუ ინკლუზიური მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, ასევე გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში.
ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სასუალო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის მიზნებთან მიმართებაში და იწერება ქულა, ხოლო განმავითარებელი შეფასება მიემართება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისკენ და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები, რომელიც არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

საორიენტაციო სახის და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოარგოს სასწავლო პროცესში მოსწავლის შეფასებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და ზოგადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტტესტებსა თუ პრეტესტებს; თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, სქემებს და სხვა. სკოლა ასევე იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდიკურ ორიენტირებზე.
სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტსა და საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს პროექტში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით კათედრა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 .სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ამდენად, სკოლას შექმნილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. ამ მიზნით კათედრაზე კვლავ იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება წელიწადში ორჯერ: სასწავლო წლის დასაწყისსა და ბოლოს. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგებს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის გასაუბრებაზე აღნიშნეს ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც განახორციელეს მიმდინარე სასწავლო წელს ეფექტიანობის გამო აღნიშნული კომპლექსურები გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმშიც. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში
2 საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო ;
„მოსწავლეთა ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმენის“ დოკუმენტი;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმეი.
3 საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში.
4 ინდ ჯგუფის სხდომის ოქმები.
5 „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

1 სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2 ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3 სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4 სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5 სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1** კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. რაც მათ გამოცდილებაზე მიუთითებს.
მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განსაზღვრული ინტერვენციათა გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, 2022–2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები „წიგნიერება“, „ეტვინინგის“ აქტივობები – მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 სამივე საფეხურზე სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. მათი ხედვით, ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. ასევე წინარე ცოდნას ეფუძნება საფეხურზე არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტის განხორციელების პრატიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას მკაფიოდ არ ჩანს მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, თუმცა მასწავლებელთა მიერ ინტერვიუს დროს დაინიცირებულ მოსწავლის და მასწავლებლის თვითრეფლექსიის ნიმუშში მოაზრებულია შეკითხვები, რომლებიც დააფიქრებს მოსწავლეებს თვითრეფლექსიაზე, თვითცნობიერებაზე, სოციალურ ცნობიერებაზე, ურთიერთობის უნარებზე, პასუხისმგებლობა -გადაწყვეტილებებზე. არაფორმალური განათლების განვითარების ფარგლებში შესრულებული სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების გეგმა კი ხელს შეუწყობს მოსწავლის სოციო- ემოციური სფეროს განვითარებას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. (აღნიშნული ცნობილია მასწავლებელთან გასაუბრების შედეგადაც). წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს.
სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც დადასტურდა სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. ისინი კათედრაზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს, როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასებისათვის. სკოლა შეფასების აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს დიფერენცირებას (კომპლექსური დავალებების აგების იდეაში) და მოსწავლის დიაგნოსტირების განვითარების ყველა სფეროს მიხედვით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ეს ყოველივე კი ეფექტურად დაიძლევა კომპლექსური დავალებების განხორციელების გზით, რაც კათედრას საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოთი აქვს განსაზღვრული და მისი პრაქტიკის ნაწილია. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 კათედრა სწავლებისას აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კათედრაზე ხელს უწყობს დაგეგმილი და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ საგანთა ურთიერთკავშირზე. ყოველი განსაზღვრული თემა არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, იგი ასევე უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან; მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მაგალითად: ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ასახულია ჩარჩოში მოცემული შესადარებელი მაგალითებით, ასევე რამდენიმე დამატებითი რესურსიც იძლევა სასწავლო პროცესის ამ მიმართულებით წარმართვას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 შემუშავებული კურიკულუმები;
კომპლექსური დავალებების ბარათები;
2022–2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
2 საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
3 შემუშავებული კურიკულუმები .
4 სასკოლო სასწავლო გეგმა;
საგნობრივი კურიკულუმები.
5 კურიკულუმის ჩარჩო.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2 საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3 შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4 შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5 სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6 სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, რაც მკაფიოა გასიტყვებისას და მასში კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. 2022–2023 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში კვლავ გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, რომლებიც ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს.
საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებებით ყველა საგანში არ ხდება, თუმცა გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ ხედვა, თუ როგორ დაამუშავონ კომპლექსურს მიღმა დარჩენილი სამიზნე ცნებები. ამისათვის ისინი გამოიყენებენ სხვადასხვა სახის დავალებებს, მათ შორის შემაჯამებელს, რაც ცხადყოფს, რომ მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზეა მორგებული შესასწავლი საკითხები და ქვეცნებების დაჯგუფება ქვესაკითხებთან კომპლექსურ დავალებაში აისახება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. კათედრის მიერ განსაზღვრული კომლექსური დავალების შესრულებით იქმნება შესაძლებლობა მოსწავლეებს დაეხმარონ გამოავლინონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო გუნდური მუშაობით კი მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას უწყობენ ხელს. ასევე მოსწავლეებში უზრუნველყოფენ გაუმკლავდნენ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პატივი სცენ სხვების აზრს და მართონ საკუთარი ემოციები. აღნიშნულის განვითარებას ხელს უწყობს სკოლაში, არაფორმალური განათლება და პროექტული სწავლება. სასწავლო პროექტები ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ზემოთ აღნიშნული უნარების, ხოლო კათედრის მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში მოცემულია ძირითადი საკითხები, რომელიც კომპლექსური დავალების სახით მუშავდება, რომლის ფარგლებშც ქმნიან პროდუქტს.
ჩატარებული კლასის საათებიც და კლასის საათის დროს განხილული თემებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი ეხება სწორედ ემპათიის, ბულინგის, ჯანსაღი ცხოვრების საკითხებს, რაც მოსწავლის პიროვნული და ფსიქო–სოციალური განვითარების საფუძველია. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ამიტომაც შეფასების სისტემა განმსაზღვრელთან ერთად განმავითარებელი შეფასებითაც აისახება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აძლევს მიმართულებას და ასწავლის გზებს შემდგომი წინსვლისათვის. ასევე შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, განმავითარებელი შეფასებისათვის სკოლა ასევე იყენებდა საკლასო აქტივობების შეფასებასაც, სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში იკითხება რომ 2023-2024 სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

წლის სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა იქნება შესაბამისობაში ესგ-სთან, შეიქმნება კათედრების წევრების თანამშრომლობით კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილი სასკოლო საზოგადოებისათვის.შესაბამისად შეფასების შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრაზე ფიქრობენ, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიმართ, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მშობლები, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა იქნება შესაბამისობაში ესგ-სთან, შეიქმნება კათედრების წევრების თანამშრომლობით კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილი სასკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

5 სამივე საფეხურზე საგნის მასწავლებლები შეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას ეყრდნობიან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რაც გაკვეთილზე დასწრებით დიაგნოსტიკური ტესტირებით, მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებით განისაზღვრება. იგი ეფუძნება, სანდოობის, სამართლიანობის, ობიექტურობის პრინციპებს და მოიცავს პროცედურებს:

სინამდვილის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა;
შეფასების შემოწმების პროცედურა;
სტანდარტის შედარება ფაქტებსა და რეალურ ვითარებასთან.

სკოლის მიერ წარმოდენილი დოკუმენტი ,,შეფასების ვერიფიკიაციის მექანიზმი''ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე მოსწავლის შეფასების მიზნით მოსწავლის მიღწევების შეფასების წესს და მექანიზმს .ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

6 სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს, სემესტრული და წლიური შეფასების ფორმების, სასკოლო საზოგადოების პირადი საქმეების დამუშავებასა და შენახვას. რომელიც სათანადოდ აღირიცხება და ინახება კანონის

შესაბამისად. .ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღჭურვასა და შენახვას, არანაკლებ 3 წლის ვადითკანონმდებლობის სრული დაცვით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 კურიკულუმი ;
სკოლის განვითარების გეგმა.
2 სკოლის განვითარების გეგმა;
კურიკულუმი.
3 რომ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა;
კურიკულუმი.
4 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმა;
სკოლის განვითარების გეგმა.
5 ,,შეფასების ვერიფიკიაციის მექანიზმი’’(პროექტი);
6 შეფასების ფორმები; ‘
„შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი“ (პროექტი)

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

1 სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, სკოლის პრიორიტეტები და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია საათობრივ ბადეში, მოსწავლეებს აქვთ საგნების არჩევის შესაძლებლობა. საგნობრივი პროგრამები იძლევა მოსწავლეთა პიროვნული ზრდის შესაძლებლობას. კათედრაზე შემუშავებულია ინდ. სასწავლო გეგმები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის. კათედრაზე,მოსწავლეებთან და მშობლებთან შექმნილია პოზიტიური, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ამის საილუსტრაციოდ ისინი ასახელებენ არაფორმოლური პროექტებს. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები და ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბების დროს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 როგორც გამოგზავნილი მტკიცებულებებით და გასაუბრების მასალებით დგინდება, სკოლაში სამივე საფეხურზე ხშირად სწავლა-სწავლების პროცესები ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებების აგებით, რომლებიც ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა ჩანს, რომ მოსწავლე თვითონ არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. სკოლა სწავლების პროცესში იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, მასალებში ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება დიფერენცირებული სწავლების, განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია ჰოლისტური განათლების შესაძლებლობაზე. აქედან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო, აგრეთვე სხვასასხვა სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტვოვობები და მასალები, მომავალი წლისათვის მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების სქემები, კრიტიკული მეგობრის გამოცდილებები. გარდა ამისა ინტერვიუში მასწავლებლები ხსნიან, თუ როგორ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც იმის დამადასტურებელია, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და აქტიურ კომუნიკაციას. გასაუბრების დროსაც აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კოლეგები ყოველდღიურ შეხვედრებზე, კათედრის სხომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, ხდება მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მოწყობა. სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტში, კომპლექსურად ასახულია (სასკოლო ბაზასთან სინთეზში) მრავალი აქტივობა, მათ შორის სასწავლო თუ სოციალური პროექტის განხორციელების გეგმა, წახალისების მექანიზმები, წარმოდგენილი მტკიცებულებები ნაწილობრივ ასახავს სხვადასხვა პროექტების განხორციელების შედეგებს, წახალისებულ ინიციატივებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. გასაუბრებიდან გამომდინარე, ჩანს რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეებისათვის პოზიტიური გარემოს შექმნისთვის: ტარდება სპორტული საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, მოსწავლეებმა წინასწარ იციან განსახორციელებელი ფესტივალების დრო და შინაარსი, თემები შერჩეულია მათთან შეთანხმებით. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1 სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა.

3 ხარისხის ჯგუფის შეფასება;

კურიკულუმების ჩარჩო.

4 სკოლის 7 წლიანი განვითარების გეგმა;

შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

#### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრებიდან გამოითხოვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ანალიზების ფორმებს, ხდება შეჯერება და გაანალიზება, ხოლო შემდეგ, მასწავლებელთა მიერ წარმოებული შუალედური მონიტორინგის შედეგების რევიზიით, ადგენენ ემთხვევა თუ არა მათ მიერ წარმოდგენილი შეფასებები მეთოდოლოგიაში გაწერილ შედეგებს. თუ არ დაემთხვევა, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მართალია ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელმაც უნდა გამოკვეთოს მონაცემთა მიზნობრიობა, მონიტორინგის შედეგები როგორ აისახება კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში, მაგრამ გამოხატავს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. აქვს იმის მზაობაც, რომ სამომავლოდ მოხდეს მონიტორინგის სისტემის გაწერა, დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული პრაქტიკა გაზიარდება სკოლის ყველა კათედრაზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ კათედრის თითოეული წევრი კათედრის თავჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, შესაბამისად რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე.
საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავდეს და ასახავდეს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

3 სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.
სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც მასწავლებლებს ეძლევათ უკუკავშირი. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებასაც. კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ჩანს, რომ მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში ახდენენ ,, სვოტ ანალიზს'', რა იყო ძლიერი და სუსტი მხარე, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის და შემდეგ ცვლილებებს ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. სკოლამ გამოხატა მზაობა, სამომავლოდ, მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

2 კათედრის სხდომის ოქმი:N4;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი
3 სასკოლო სასწავლო გეგმა;

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1 შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2 შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3 შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4 შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, შეფასების ჰოლისტურ სისტემას: კითხვარებს, ინტერვიუებს, თვითშეფასებას და სხვ. გათვალსიწინებულია შემდეგი შეფასების ინსტრუმენტები: კვლევა, დაკვირვება, ინტერვიუ, SWOT ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

მოსწავლეების შეფასება ხდება მუშა პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები/ინსტრუმენტები და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. რომ იყენებენ მოსწავლეთა შეფასების სისტემურ მიდგომას, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს სხვადასხვა წყაროსა და რესურსებს, ნიმუშად წარმოადგინეს მომავალი სასწავლო წლის სავარაუდო სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. მათ აქვთ მზაობ,ა შეფასებებისას დაეყრდნონ მრავალფეროვან წყაროებს. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის საგნობრივი კათედრა თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის, რაც გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მოიყვანეს საინტერესო მაგალითები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში კორიკულუმის ჩარჩოს ნაწილშიც აისახება. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

3 სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაწილში გაწერილია, თუ როგორ ხორციელდება სასწავლო სასკოლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; რა წყაროებით ხდება დანერგვის შესახებ, პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი შეფასებას კონკრეტული მიზნით (შედეგების დიაგოსტირება, ანდა შედეგების გაუმჯობესება) გამოიყენებენ და შეფასების დაგეგმვისას იხელმძღვანელებენ სასწავლო სასკოლო გეგმის მიხედვით. შეფასების ვალიდურობისა და გამჭირვალობის მისაღებად ისინი იყენებენ კვლევებს და ყველაზე ხშირად იყენებენ ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ექსპერიმენტს, მეორად კვლევებს და სხვა. ექსპერიმენტის შესრულების პროცესები, მატერიალურ-ტექნიკური პრობლემების გამო, დაწყებით საფეხურზე ვერ ხორციელდება, თუმცა მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიასა და კვლებისათვის საჭირო სხვადასხვა რესურსებს, რომლებიც მათი ხელითაა შექმნილი. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

4 სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. მასწავლებლები როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს- ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1 შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (პროექტი) ;
2 საგნობრივი კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

3 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

## 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1 იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2 კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 ყოველი სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. ეს ციკლი სკოლას გაწერილი აქვს სკოლის წლიურ სამოქმედო გეგმაში.

კათედრებზე სისტემატურად ეწყობა და მოეწყობა შეხვედრები, სადაც დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რის შემდეგაც ხდება გაააანალიზება რა გამოცდილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-------------------------

დაგროვდა სასწავლო წლის მანძლზე, როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის, რა უნდა გაითვალისწინონ ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის დონეზე. ეს ყველაფერი ხდება ზეპირი შეჯამების საფუძველზე. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

2 რაც შეეხება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, სკოლა გეგმავს (სკოლის განვითარების გეგმა ადასტურებს), ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან იმუშაოს საბაზო საფეხურისთვის მათ მიერ შედგენილი და გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის გადახედვა და ანალიზი განხორციელდება ეტაპობრივად. მან გამოთქვა მზაობა ამ პროცესისათვის.
ინტერვიუს დროს, მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია ფურცელზე დაწერილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის, რომ ზოგჯერ საჭირო ხდება კურიკულუმის ნაწილის ანდა მთლიანი კურიკულუმის შეცვლა, ზოგჯერ აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისათვის დროს ამატებენ, ცვლიან რესურსებს, თუმცა ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო აქვთ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ კურიკულუმის დანერგვისა და მოდიფიცირების პროცესები და სრულად გამოხატავენ მზაობას ამ მიმართულებით. ინდიკატორი არ არის დარღვეული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის წლიურ სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თარიღი: 08/09/2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------